329.153 (05)
პ-47.

მუშათა კლასის საქმისათვის იყავ მზად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერი

1929
30 სექტემბერი

საქართველოს მ. კ. ო. ცენტრალური და ცაკილისის მიერ ოქმის და განათლების სასაულსო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის ჟურნალი მაგშემისათვის.

წელიწადი IV
№ 20

მეთორმეტე მზე!..

მეთორმეტე მზე ინთება მშრომელთა განთიადისა,
პიონერებო, ბავშებო!
მეთორმეტე მზე!..

რამდენი ბროლა დაგვჭირდა, რამდენი სისხლი დაიღვარა, რამდენი დაძაგრული კუნთი გადაწყდა, შრომაში და გარჯაში ტანჯვასთან შესისხლხორცებული, ვიდრე ამ მზეს მსოფლიოს შუბლზე ავაგორებდით, ვიდრე გაბრწყინდებოდა მეწამული, ხუთსხივა მნათობი.

ბავშებო, პიონერებო!

თქვენ რომ მიწაზე დადიხართ, ეგ მიწა დანამულია მონათა, ყმათა, სუსტთა, მაგრამ მარად მშრომელთა

ოფლით და ცრემლით,
ცრემლით და სისხლით,
ყოველგვარი ტანჯვით
და უბედურებით...

ისინი თქვენი მამები იყვნენ. ეს ისინი აგებდენ ამ სასახლეებს, ამ ციხე-დარბაზებს, სადაც ილხენდენ ბედნიერნი, უზრუნველნი, უსაქმურნი და საზიზღარნი.

და, აი, ამ თორმეტი წლის,
თორმეტი ზარის დაგუგუნების,
თორმეტჯერ მზის ამობრწყენის წინ დაინგრა ციხის კედლები,

დაიმსხვრა ჟანგიანი ბორკილები და განადგურდა ფარი და ხმალი, ტყვია და წამალი, მათ რომ ჰფარავდა.

მას შემდეგ ათასი ბრძოლა გადავიტანეთ, ასიათასმა მებრძოლმა დახუჭა თვალი და იღვრებოდა სისხლი, ვიდრე მტერს უკანასკნელი მახვილი არ გაუგმირავდა განწირულ მკერდს.

ახლა კი ისევ ვიბრძვით,
ისევ იარაღი გვიჭირავს ხელში

და ყველა: დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა, მარჯვენის მუშა და გონების მუშა ხელჩართულ ბრძოლაში ვართ, თანდათანობით ვდევნით დამღუპველს სიღატაკეს, ჩამორჩენას, უცოდინარობას და ვაშენებთ,

ვაგებთ,
ვქმნით!..

პირველი მტერი რომ დავამხეთ, მაშინ ს. ს. რ. კ. შრომისა და თავისუფლების გმირებმა ამოვისუნთქეთ, როგორც ფიცხელ და მწვავე ბრძოლის შემდეგ ამოისუნთქავს გამარჯვებული მეომარი, და ეს ჩვენი სუნთქვა სულისშემხუთველ ქარად გარდიქმნა მსოფლიოს მტაცებლებისთვის, მუქთახორა მოზეიმეთათვის.

ბავშებო, პიონერებო!..
მისმინეთ თქვენ,
ვისაც გეკუთვნით ეს დილაც და მომავალი ბრწყინვალე განთიადებიც.
მისმინეთ, გესმით!..

ჩვენ ახლა ქვეყანას ვაშენებთ ახალს, ჯერ არყოფილს, სადაც მეფე იქნება

გვირგვინი კი არა,—კუნთები, გონება, შრომა.

ჩვენ ვქმნით ცხოვრებას თავისუფალს და ბედნიერს და ჩვენ ამისთვის გვინდა მილიონი ქარხანა, ათი მილიონი მანქანა და ასი მილიონი მშრომელის გული შეერთებული, შემტკიცებული, გადაქცეული ერთ მთლიან გულად, მთლიანი ძკერდის ქვეშ, რომ ქარტეხილი იყოს მისი სუნთქვა, ვულკანი იყოს მისი ცემა, რომ მძლავრი იყოს, შეურყეველი, რომ სწვავდეს ყველას, ვინც კი სამტროდ მოეკარება, ვინც ლახვარის ჩაცემას აპირებს.

ამისათვის, პიონერებო, ბავშებო,
ქარხნებისა და მანქანების აგებისათვის
გამოგვიწოდეთ თქვენი პატარა ხელები, პატარა თითები, აამოძრავეთ ჯერ კიდევ გამოუტანჯავი კუნთები და მოზიდეთ თითო აგური, დაამაგრეთ ფოლადის სალტებზე თითო ხრახნი, თითოჯერ დაარტყით გამოუწრთობ რკინას ჩაქუჩი

თქვენი პატარა ხელებით, პატარა თითებით, დაუზარელი ხელებით, და ეს იქნება თქვენი ბრძოლა, თქვენი მსხვერპლი, თქვენი გამარჯვება.

მეთორმეტე მზე ინთება მშრომელთა განთიადისა, მეთორმეტე მზე, და როდესაც მსოფლიოს გულზე მთელ თავის სიმწვავეს გადააფრქვევს ეს ჩვენ მიერ დანთებული მზე—ყოველი კუთხიდან შემოგვეგებებიან გათავისუფლებული მონები, მშრომელთა ქვეყანა.

ახლა კი, რომ ამ გამარჯვებასაც მივაღწიოთ, ნუ შეჩერდებით:

მოზიდეთ აგურები, სწრაფად, შეუჩერებლად,
დაარტყით რკინას ჩაქუჩი მძლავრად, დაუღალავად,
ატრიალეთ, ატრიალეთ ხრახნები...

დაიღალეთ?.. არა დაღლა არ შეიძლება, იშრომეთ, აკეთეთ, აშენეთ,

ეს ბრძოლაა, ბრძოლა,
ბრძოლა მსოფლიოს მშრომელთა განთავისუფლებისათვის!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიოშას მეგობარი

უყვარს კიოშას ბულბული. ხშირად მიეპარება ბუჩქს, სადაც ის გალობს, და აღტაცებით შეჰყურებს მას.

ასეთი პატარა ფრინველია, ნაცრისფერი, უბრალო შეხედულობისა და, როდესაც გალობს, თვალებს ხუჭავს.

— ტია — ტია!

საუცხოოდ გალობს ბულბული.

დაწვება კიოშა იქვე ბალახზე და ყურს უგდებს.

ცაზე მისცურავს მსუბუქი თეთრი ღრუბელი ძალიან მაღლა და ლურჯი ცის სივრცეში იმალება.

კიოშას დასცხა და ჩავიდა იქვე სარდაფში; მას ეცა ნაღების სუნი, წააწყდა ნაღებით სავსე ქოთანს, რამდენიმე მუჭი ამოუსვა და პირში გადაუძახა.

— უფ, რა კარგია, წყურვილი მომიკლა.

ასეთი საუზმის შემდეგ, რასაკვირველია, ხილი მოუნდებოდა, ხილი კი ტყეშია. კიოშა წავიდა „დათვის მიდორზე“ მარწყვის საძებნად. იქ იმდენი მარწყვია, რომ რამდენიც სჭამო, ვერ მოლევ.

კიოშა გაძღა მარწყვით, მიწვა იქვე ბუჩქის ძირას და მიეძინა.

სძინავს კიოშას და ხედავს სიზმარში უზარმაზარ ზღარბს, რომელსაც ძროხის ოდენა თავი აქვს. აგერ, ძღარბმა ასწია ვიწრო დინგი და გადაატრიალა თვალები; როგორც ეტყობა, ძალიან გამწყრალია კიოშაზე.

— რას წამოწოლილხარ აქ? მიწა სველია, ნამიანი და გაცივდები.

— ნუთუ ეს ზღარბია! კაცივით კი ლაპარაკობს. მთავარი კი ის არის, რომ მკლავში მეწევა. ვფიცავარ, გასაკვირი საქმეა! ვინმეს რომ ვუამბო, გაეცინება.

გამოეღვიძა კიოშას, ძღარბი არსად ჩანდა, მხოლოდ თავზე ადგა ვილაც უცნობი ძია. ისე, საშვალო ტანის, არც საშიშარი, პირმომცინარე, საყვარელი სახის; გაშვებული წვერები უმშვენებდა სახეს.

— გემრიელად გძინავს!.. გაცივდები...

კიოშამ ასწია თავი, შეხედა ძიას.

შერცხვა, უნდოდა ბუჩქებში მიმალულიყო. მაგრამ როდესაც ჩაანათა მას ძიას საყვარელმა თვალებმა, არ დაიმალა.

— აა, ეშმაკო!.. გაძეხი მარწყვით და გძინავს... არ გეშინია? მგლები შეგჭამს...

კიოშა ჩაფიქრდა.

— აქ რა მგლები არიან? აი იქ, დიდ სახლში, მონადირეები ცხოვრობენ... სადაც ლენინი ცხოვრობს... ხშირად თოფს ისვრიან... შენც მხარზე თოფი გკიდია და რის უნდა მეშინოდეს?!

მონადირემ გაუღიმა კიოშას, გადაიგდო მეორე მხარზე თოფი და ჩაჯდა მუხლებზე.

— სწრაფი ბავშვი ხარ! შენ განა იცი, დიდ სახლში რომ ლენინი ცხოვრობს?

— როგორ არ მეცოდინება, ვიცი, რომ ცხოვრობს... მე დედა დელეგატი მყავს, მან ყველაფერი იცის; ჩვენს კედელზე ლენინის სურათი ჰკიდია.

კიოშა დააცქერდა მონადირეს.

— ის თქვენ გგავთ. მხიარული სახის... წვერიანი... მხოლოდ მას ყელზე წინწკლებიანი ყელსახვევი აქვს.

მონადირე დაინტერესა კიოშამ.

— რა გქვია?

— მე? კიოშას მეძახიან.

მონადირე ლმობიერად ესაუბრებოდა. კიოშამ შეამჩნია, რომ მონადირის მხიარული გამომეტყველება მისთვის სასარგებლო იყო.

— ისროლეთ?

— არა, არ მისვრია. ვფიქრობდი მელას შევხვდებოდი.

— შეიძლება მომცე? ჰაერში გავისვრი, ანდა ორივემ გავისროლოთ.

მონადირე დასთანხმდა;

— კარგი. აი, წავიდეთ შინ, მოგცემ თოფს და ისროლე. ახლა კი მითხარი, ვინა ხარ და საიდან?

კიოშამ იწყინა ხელმეორედ სახელის შეკითხვა.

— მე ხომ გითხარი, კიოშა ვარ. აქ ყველანი მიცნობენ. დედაჩემი დელეგატია, ძროხაც გვყავს, დედაჩემი ზაფხულობით შინ მუშაობს, ზამთრობით კი მოსკოვში მიდის სამუშაოდ. მე კი ბიძაჩემთან ქალამნებს ვკერავ. მაშ!

მონადირემ მიუალერსა კიოშას, თმაზე ხელი გადაუსვა და ჰკითხა.

— რატომ არ დადიხარ დიდ სახლში? იქ ლენინი ცხოვრობს, მასთან დადიან ბავშვები და თამაშობენ.

ლენინს უყვარს შენსავით ცოცხალი და სწრაფი ბავშვი.

შენ უკვე ათი წლის იქნები. ალბათ წერა-კითხვა იცი, არა?

კიოშას ესიამოვნა შექება. — მაქებენ და მაქონ, გინებას ქება სჯობიაო.

— ვიცი, ოთხი ასო ვიცი. შემდეგ ზამთარში ქალაქში წავალ და ვისწავლი, ვიმუშავებ კიდეც. მე უკვე დიდი ვარ. წლოვანების შესახებ შეცდი, ცოტა მომიმატე — მე ცხრა წლისა ვარ. ლენინთან წასვლა მეშინია; ჩვენი ბავშვები დადიან მასთან, ვაშლებს აჩუქებს ლენინი, ზოგჯერ პატარა „პუგაჩებსაც“, მაგრამ მე ვერ წავალ. როგორ წავიდე ასეთ საშიშ კაცთან?

დედამ სთქვა, რომ ის ხელმწიფეზე დიდი კაცია, რადგან იგი ყველას უყვარს. როგორ წავიდე ლენინთან, მეშინია.

მონადირე დიდხანს იცინოდა ჩუმი სიცილით, შემდეგ გადმოიღო მხარიდან თოფი, მისცა კიოშას და უთხრა:

— ისროლე!

კიოშამ დიდხანს ატრიალა თოფი. მას, მართალია, უნახავს, როგორ ესვრიან მონადირეები თოფს იხვებს წყლის პირას, მაგრამ მაინც ვერ ახერხებდა გასროლას. მარცხენა თვალითაც დაუმიზნა, მაგრამ თოფი ხმას არ იღებდა.

მონადირემ კმაყოფილებით დაიკრა მუხლებზე ხელები და უკან წაიღო თოფი.

— ცუდი მონადირეები ვართ ჩვენ, კიოშა. მე ვაზნები შინ დამრჩა და თოფი ცალიერია.

კიოშამ მძიმედ ამოიოხრა.

— მაშ, ვერც თქვენ მოახერხებთ გასროლას, არა?

ეეე! ცუდი მონადირე ყოფილხართ! რა არის უვაზნო თოფი, ეს ხომ ჯოხია. იცით, რა გითხრათ, ძია, ხვალ აქ მოდით, თან ვაზნები, მოიტანეთ, აი, მაშინ კარგად ვისროლოთ.

— კარგი, მოვალ, — უპასუხა მონადირემ.

— მხოლოდ დილით. შემთხვევით დავაგვიანე, თორემ მუდამ დილით ვსეირნობ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბრის დღეებში.

დასცილდენ ერთმანეთს. კიოშა გარბოდა ჩქარი ნაბიჯით შინისკენ.

ღამდებოდა. აღმოსავლეთიდან ბნელმა ღრუბლებმა დაფარა ლურჯი ცა.

II

კიოშას დედა ნამცხვრებს ამზადებდა. კიოშას მოთმინება დაეკარგა და ვეღარ უცდიდა გამოცხობას.

— დედა, მალე გამოცხვება ნამცხვარი?

— რას შემომიჩნდი. აი ახლავე. მოვრჩებით და თხები გავრეკოთ გასაყიდად.

კიოშას ჯავრი მოსდის. შეიძლება დააგვიანდეს, მონადირე არ დაუცდის და წავა, მონადირესთან ყოფნა-კი ყველაფერს ურჩევნია. მის ახლოს ისე თბილა, როგორც ზამთარში ღუმელთან. თვალებით აელერსება და ტკბილად ელაპარაკება, დედა კი უჯავრდება.

— ეხ, დედა, მოთმინება მეკარგება, ჩაის დალევის დროც არ მაქვს... მეჩქარება. აი იქ, ტყეში, მონადირე მიცდის...

დედა მიაშტერდა კიოშას.

— ვინ არის ის მონადირე?

— აი ის, ტყეში ცხოვრობს. შენ ვერ იცნობ მას, ჩვენ ორივენი თოფს ვისვრით. თოფი მას აქვს. იმან დიდ სახლში მიმიწვია ლენინთან, მეც ავდგები და წავალ. ვეტყვი ლენინს, როგორი დელეგატი ხარ, არაფერს არ აკეთებ.

დედამ მიატოვა საქმე, გაისუფთავა ხელები, ჩაიკრა გულში და დიდხანს იცინა.

— ხედავ კიოშას! ლენინთან მიდის საჩივლელად, რომ დედამ ნამცხვარი არ დაუმზადა თავის დროზე. რაღა ვქნა, ძალიან, ძალიან მეშინია!

ნამცხვარი გამოცხვა. კიოშას უყვარს ნამცხვარი კომბოსტოთი და ნაღებით. დედა ნაღებისთვის ჩავიდა სარდაფში, კიოშამ თავისი წილი ნამცხვარიდან მოსჭრა ნაჭერი და შეახვია გაზეთში.

მოვიდა დედა, მაგიდაზე დადგა დიდი ჯამით ნაღები და ჩაილაპარაკა:

— საინტერესოა, ნეტავ ვიცოდე, ვინ სჭამს ამ ნაღებს სარდაფში?

კიოშა დაიბნა, არ იცოდა, რა ეპასუხნა, მაგრამ მალე მოიფიქრა და უთხრა:

— ვირთაგვები...

— მე შენ მოგცემ ვირთაგვებს! ნუ ძვრები ჭუჭყიანი თითებით ქოთანში.

— სიმართლეს ვამბობ, დედა, ვირთაგვები...

— ნუ სტყუი! როგორ თუ ვირთაგვები? ვირთაგვა ახდის ქოთანს თავსახურავს, შესჭამს და ისევ დაახურავს?

კიოშა დაიბნა, საჩქაროდ ჩაიდვა უბეში ნამცხვარის ნაჭერი და გაიქცა ტყისაკენ.

გზაზე სულ ამას ფიქრობდა „მივუსწრებ მონადირეს თუ ვერ მივუსწრებ?“

ნაცნობი ბილიკებით მირბოდა კიოშა, შარშანდელ დამპალ ფოთლებში ურევდა ფეხებს და აფრთხობდა ფრინველებს. დაიქანცა, როდესაც მივიდა მინდორზე, დავარდა ბალახზე და დაიწყო მძიმედ სუნთქვა ნესტოებით.

— ამბობენ ბიჭები, ჯანმრთელობას შველის, ხუთჯერ ამოისუნთქავ და დაღლილობა უცებ გაქრებაო.

ყოველი წუთი საუკუნედ ეჩვენებოდა კიოშას, ლოდინით დაიღალა. აგერ ხეზე შემოჯდა გუგული. კიოშას არც კი შეუმჩნევია ის, არ სცალოდა. სხვა დრო რომ ყოფილიყო,

აუცილებლად შეეკითხებოდა, რამდენი წელი დარჩა მას კიდევ ამ ქვეყნად სიცოცხლე. ამბობენ, რამდენჯერაც დაიძახებს „გუგუ“-ს, იმდენ წელს იცხოვრებს კაცი.

გორც იყო, მოესმა კიოშას ფეხის ხმა ძალიან შორიდან. კიოშა სწრაფად წამოხტა და მიეგება.

— გამარჯობა, ძია!

— აა, კიოშა, გამარჯობა, გამარჯობა. მე ვიფიქრე, რომ არ მოხვიდოდი. სხვა, როგორაა საქმე?

კიოშამ იმ წამსვე, ჩაიყო ხელი უბეში, ამოიღო გაზეთში შეხვეული ნამცხვარი და მიაწოდა.

— აბა, მიირთვი. დედაჩემმა გამოაცხო, ძალიან კარგი ნამცხვარი და დაუწყო მადიანად ჭამა.

— ეს ჩვენი მეგობრობის განსამტკიცებელია, არა? — შეეკითხა მონადირე.

კიოშა სულ მხრებზე შეჰყურებდა მონადირეს, იქნება თოფი დავინახოო, მაგრამ როდესაც ველარ დაინახა, მოიწყინა და ჩაფიქრდა.

— მეგობრობის!.. რატომ თოფი არ მოიტანე?..

— როგორ არ მოვიტანე, მაქვს. აი წაიღე.

კიოშამ თავისუფლად ამოისუნთქა.

— აი, თოფიც ამასა ჰქვიან, პატარა და ლამაზი. სწორედ საჩემოა.

მონადირემ ამოიღო ჯიბიდან ვაზნები და მისცა კიოშას.

— ეს მონტეკრისტოა, შენთვის მიჩუქებია, შენ ჩემი ძვირფასი მეგობარი ხარ, კიოშა.

კიოშას ხელში ეჭირა თოფი. სიხარულით აღტაცებულმა აღარ იცოდა რა ეთქვა, ზედმეტი სიხარულისაგან სუნთქვა შეეკრა.

— დიდი მადლობელი, დიდი მადლობელი!..

მონადირემ გაუღიმა.

— ხომ კარგი საჩუქარია? ეს შენ ლენინმა გაჩუქა, მე მასთან ვცხოვრობ. გთხოვა მიხვიდე მასთან.

კიოშა და მონადირე დასხდენ იქვე ბალახზე და დაუწყეს თოფს სინჯვა. უბრალოდ ეწყობოდა გვერდიდან ვაზნები და ისროდა. ხმა დიდი ჰქონდა, მაგრამ ტყვია ღრმად ვერ სჭრიდა და გარედან მიეკვროდა ფიცარს.

ტყეს აყრუებდა სროლის ხმა. ისროდენ რიგ-რიგობით, ხან მონადირე და ხან კიოშა. აირჩიეს ერთი წაქცეული მუხა და მას ესროდენ. თუ კიოშა ესროდა, მონადირე მიირბენდა ხესთან, დაათვალიერებდა და შეატყობინებდა, მოხვდა თუ არა. და თუ მონადირე ესროდა, კიოშა გარბოდა ხესთან. მეგობარი კარგად ისროდა მიზანში, მაგრამ კიოშა კი ცუდად: არ იყო გამოცდილი სროლაში და თანაც ეშინოდა.

გამომიზნების დროს მარცხენა თვალს ხუჭავდა და როდესაც ჩახმახს გამოუშლიდა, მერე შიშით ორივე თვალს დახუჭავდა.

დიდხანს ივარჯიშეს მეგობრებმა. შემდეგ მონადირემ იგრძნო დაღლილობა და გაუწოდა ხელი კიოშას.

— აბა, მეგობარო, თუ გინდა წამოდი სადილად ლენინთან, გვიანია და მელოდებიან.

კიოშას ხელი ჩამოართვა.

— ა — რ — ა... შემდეგისათვის. მეც შინ წავალ. ხვალ მოვალ ლენინთან. შენ ხომ იქნები მასთან?

— აუცილებლად ვიქნები.

— აბა, იცოდე, რომ მოვალ...

კიოშამ გააყოლა თვალი საშვალო ტანის მონადირეს ფართო ბეჭებს, მიიკრა მკერდზე ძვირფასი საჩუქარი და გასწია შინისკენ.

ვის აჩუქა ლენინმა თოფი? მხოლოდ მე! მაგრამ ვაი თუ წამართვას დედაჩემმა. მან ხომ მითხრა, პატარა ბავშმა არ უნდა ატაროს „პუგაჩიო“ და მე კი დიდი თოფი მაქვს.

III

მოულოდნელად ესტუმრა კიოშას დეიდა, სთხოვა დას, რომ დროებით გაეგზავნა მის სახლში კიოშა პატარა ბავშების მოსავლელად. დეიდას მინდორზე სამუშევარი ჰქონდა, იქ უნდა წასულიყო და ბავშების უპატრონოდ მიტოვება არ შეიძლებოდა.

გზავნის დედა კიოშას დის სახლში, კიოშას კი ხვალ ლენინთან უნდა წასვლა. უკვე სიტყვა მისცა მონადირეს. მონადირეც ხომ გადასცემდა ლენინს — კიოშა გესტუმრებაო.

ბევრი ეხვეწა კიოშა დედას გაეშვა ლენინთან, მაგრამ ვერას გახდა.

ბოლოს უთხრა დედამ:

— წასვლა შეიძლება, მხოლოდ ასე საჩქაროდ არა. ის ავადმყოფი კაცია. თქვენ მას თავი მოაბეზრეთ წანწალით.

— სტყუი, დედა. მას უყვარს ბავშები, შენც ხომ მითხარი და სხვებიც ამბობენ. მე უსათუოდ უნდა ვისადილო ლენინთან.

კიოშამ გადასწყვიტა დაემტკიცებია თავისი სიტყვები, ჩავიდა სარდაფში, ამოიტანა გადამალული თოფი, ლენინის ნაჩუქარი, და უთხრა დედას:

— ხედავ, ეს ლენინმა მაჩუქა...

დედა გაჩერდა. ქოხში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ ღუმელის უკან ერთი ჭრიჭინა მღეროდა თავის სიმღერას.

— როდის იყავი მასთან, ა? მერე ასეთი გამურული მიდი? დაუვარცხნელი და პირდაუბანელი?

— ეს მომცა მონადირემ. ის ლენინის ამხანაგია, მასთან ცხოვრობს და ჩემი მეგობარია. მან თვითონ მითხრა, შენ ჩემი მეგობარი ხარო.

დედა დიდხანს იფშვნეტდა ხელებს, ოხრავდა, მაგრამ ბოლოს დაწყნარდა, აიღო თოფი და დაუწყო სინჯვა.

— ძვირფასი საჩუქარია. აი რას გეტყვი, კიოშა: ეგ თოფი დაჰკიდე ლენინის სურათთან, მისი სახსოვარია და გააფუჭებ თრევით.

კიოშამ აიღო თოფი და მართლა ჩამოჰკიდა ლენინის სურათთან და თან ცქერა დაუწყო

— იფ, რა ლამაზია. როგორ ამშვენებს ლენინს!

დაიძინა ყოველმხრივ ბედნიერმა კიოშამ. როდესაც გათენდა, გააღვიძა დედამ. კიოშა ძალიან მხიარულ გუნებაზე იყო. დილის ცივ ნიავზე გასწია რკინის გზით დეიდას სახლისაკენ.

დეიდა ცხოვრობდა სოფელ სიანოვკაში. როდესაც ჩაუარა ახლოს დიდ სახლს, სადაც ცხოვრობდა ლენინი, კიოშამ დაუქნია ორივე ხელი და მხიარულად შესძახა: — შევხვდებით!.. კიდევ ვნახავთ ერთმანეთს!..

სოფელ სიანოვკამდე არ იყო დიდი მანძილი. კიოშა მივიდა საუზმის დროს, როდესაც მაგიდაზე იდგა დიდი ჯამით საჭმელი და გარს შემოსხდომოდენ.

დეიდას ძალიან გაეხარდა კიოშას მისვლა.

— გმადლობთ, გმადლობთ, ჩემი ბავშების მომვლელო, რომ მოხვედი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიოშა დარჩა დეიდასთან არა ერთი დღე, არამედ დიდხანს და უვლიდა პატარა ბავშვებს.

სამი კვირის შემდეგ დეიდამ წამოიყვანა დედასთან კიოშა. როდესაც კიოშამ ჩაუარა დიდ სახლს, მოთმინება დაეკარგა და სწრაფად მივარდა ჭიშკართან.

— სად მიდიხარ? — შეეკითხა დეიდა.

— ლენინთან... მე დიდი ხანია მინდა მასთან მისვლა ..

დეიდა შეჩერდა, კიოშამ კი გაბედულად დააკაკუნა პატარა ჭიშკარზე. გამოვიდა კაცი.

— ვინ გნებავთ?

— ლენინი, ლენინთან მინდა, ძია... თქვენ გამოუძახეთ მონადირეს, თოფით რომ ცხოვრობს ლენინთან. ის მიცნობს, ჩემი მეგობარია და თვითონ წამიყვანს...

— აქ არავინ არ არის, სუყველანი მოსკოვში არიან. ლენინიც გამოჯანმრთელდა და მოსკოვში წავიდა სამუშაოდ.

კიოშას ტანში ცივად გააჟრჟოლა, გული აუტირდა, თვალები აევსო. დაღონებული წავიდა, გზაში ხმას არ იღებდა. მივიდა შინ, ქოხში არ შეშიდა, ეზოში გავიდა, შევიდა თივის საწყობში, ავიდა თივაზე და დაიწყო ხმამაღლა ქვითინი.

ზამთარიც მოვიდა, მაგრამ კიოშამ მაინც ვერ ნახა ლენინი. ზამთარში დედამ მოსკოვში წაიყვანა კიოშა. დედა ტრამვაიზე მუშაობდა.

კიოშამ დაიწყო სიარული სკოლაში. თოფი თან წაიღო ქალაქში და ლენინის სურათთან დაკიდა.

ოთახში შესული სტუმრები დიდი ყურადღებით ათვალიერებდენ თოფს, მაგრამ ხელის ხლების ნებას არ აძლევდა არავის კიოშა.

ზამთარი გავიდა. კიოშამ ბევრი რამ გაიგო; კითხვა შეეძლო და ცოტა წერაც იცოდა.

კიოშამ გაიგო, რომ ლენინი ცხოვრობს კრემლში, დაიწყო ხშირად სიარული კრემლის დიდ ჭიშკართან, მაგრამ შიგ შესვლა შეუძლებელი იყო, ჯარისკაცები იდგენ და უნებართვოდ არავის უშვებდენ.

როდესაც მოაწია კარტოფილის და პურის დასათესად სოფელში წასვლის დრომ, კიოშა არ გაჰყვა დედას, დარჩა ქალაქში და მიებარა მოწაფედ შორეულ ნათესავ ზეინკალს. ზეინკალმა წაიყვანა კიოშა თავის ბინაზე და თან თოფიც წაიღო. როდესაც გაიგო ზეინკალმა, რომ თოფი ლენინის ნაჩუქარი იყო, ძალიან ესიამოვნა და ჩამოჰკიდა წინა ოთახში ლენინის სურათთან.

კიოშა ხშირად იგონებდა თავის მეგობარს, რომელიც ორჯერ ნახა, დაღონებული იდგა დაზგასთან და ატრიალებდა ხელში ქანჩებს. ზამთარში დედასთან ერთად კიოშა სოფელში გაემგზავრა. დიდი ძველის-ძველი სახლი მოწყენილი გამოიყურებოდა თავისი ძველი ფანჯრებით. კიოშამ იცოდა, რომ ლენინი მძიმე ავად იყო; ამის შესახებ სწერდენ გაზეთებში.

შეჰყურებდა დაღონებული კიოშა სქელ კედლებს, ცდილობდა კედლის განგრევას, სურდა დაენახა ლენინი, მაგრამ განა შესაძლებელია სქელ კედელში ვინმეს დანახვა? რა თქმა უნდა, არა.

ჩაფიქრებული დადიოდა კიოშა. მას არ აინტერესებდა ბავშვებში თამაში და ციგით თოვლზე ცურვის ოცნებაც სადღაც შორს გაქრა.

დადიოდა კიოშა თოვლით დაფარულ მინდორზე, მაგრამ ვერ სცნობდა, ზამთრის ტანსაცმელში გახვეული მინდორი სოფლის სასაფლაოს ჰგავდა. კიოშამ მაშინ იცნო მინდორი, როდესაც იპოვნა ის მუხა, რომელსაც ის და მისი მეგობარი ესროდენ თოფს მიზანში.

მის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, ცოცხლად დაუდგა თვალწინ ის დიდებული და საყვარელი კაცი, რომელმაც გააცნო შორიდან კიოშას ლენინი და ლენინმა თოფი აჩუქა.

მეორე კვირა ილეოდა. კიოშას მოთმინება დაეკარგა, სული მიუდიოდა, დედა როდის გაათავებდა თავის საქმეს და წაიყვანდა ქალაქში, სადაც კიოშას ელოდებოდა სკოლა და სკოლის ამხანაგები. მძიმე იყო კიოშასთვის სოფლად ცხოვრება იმ აზრით, რომ ის ვერ ნახავდა იმ დიდ ლამაზ სახლს, სადაც ცხოვრობდა ლენინი.

ეძინა კიოშას. ის გამოაღვიძა ტირილის საშინელმა ხმამ. გადაიხედა ღუმელიდან და დაინახა მაგიდაზე თავდაყრდნობილი დედა, რომელიც ხმამაღლა ტიროდა. თავის დღეში არ ენახა კიოშას მტირალი დედა. წითელი თავსაფარი გადასძრობოდა და ჭაღარა თმა გამოსჩენოდა.

კიოშა ჩამოვიდა ღუმელთან.

— დედა, რატომ ტირი ასე მწარედ?!

დედამ ასწია თავი მაღლა, მოხვია ხელები შვილს, მიიკრა მკერდზე და უპასუხა ტირილით:

— დიდი უბედურებაა, შვილო, ჩვენს თავზე. ობლად დავრჩით, დიდ სახლში ლენინი მოკვდა.

კიოშას არ სჯეროდა. არც უნდოდა დაეჯერებია ლენინის სიკვდილი...

ქალაქის ხალხი მძიმედ მიდიოდა გაყინულ ქუჩებში, დიდი სახლისაკენ, სადაც ცხოვრობდა ლენინი.

კიოშა თავისი დედით შეუერთდა ქალთა ჯგუფს და გაჰყვენ დიდი სახლისკენ. ხალხი შევიდა დიდ სახლში, შენობა ვერ იტევდა მათ. ყოველი მხრიდან მოდიოდა აუარებელი ხალხი. ყველას სახეზე ამოიკითხავდით საშინელ მოწყენას და განუწყვეტელ მწუხარებას.

კიოშა დასცილდა დედას, მივიდა ერთ კაცთან და წყნარად შეეკითხა:

— მითხარი, ძია, სად არის აქ მონადირე? ის ჩემი მეგობარია.

კაცმა ყურადღებით დაუწყო ცქერა, მაგრამ პასუხი ვერ მისცა: მან არ იცოდა, ვინ იყო ასეთი კაცი.

ავიდა კიოშა მაღლა. იქ ყველანი ტიროდენ, მაგიდაზე ესვენა კაცი, თვალების უბეებში გაყინულიყო განუზომელი სიკეთე.

კიოშამ წაიწია წინ, შეხედა მიცვალებულს სახეზე, დაბარბაცდა, დავარდა იატაკზე და ძლივს ამოილულლუა:

— ის არის... ის მონადირე... მეგობარი...

ტ. მეშჩერიაკოვი

თარგმანი ვარდენ სალუქვაძის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცი გოლშევიკის საუბარი

ძირს რომ დაგვემხო მუქთახორები,
მისთვის ვიბრძოდით თავგანწირულად,
და მშრომელ ხალხის საკეთილდღეოდ
ბევრი კვდებოდა მტრისგან გმირულად.
თავისუფლების მოსაპოებლად
პირად სიცოცხლეს ვეთხოვებოდით,
ვსტოვებდით ცოლ-შვილს, სახლ-კარს, ნაცნობებს,
მეამბოხეებს ვუერთდებოდით...
ხშირად ბრძოლის დროს ბარიკადებზე
მტრები გვიპყრობდენ აჯანყებულებს,
„ჟანდარმერია“ ველური ცემით
შორს ციმბირამდე მიგვაცილებდა!
და იქ, ნესტიან საპყრობილეში,
მზის დანახვაც კი გვენატრებოდა!..
შიგნით სიმშილი, ტანჯვა უზომო,
გარეთ სიკვდილი გველოდებოდა!..
ციხე, ბორკილი, ცემა, დაღრჩობა,—
ჩვენს თავზე რას არ გადაუვლია,
მაგრამ ვიბრძოდით ისევ სიმტკიცით,
არ შეგვიცვლია რწმენა სრულიად...
დღეს კი თქვენ, ჩემო პატარეებო,
რომ დახვალთ წითელ ყელსახვევებით,
ეს მშენებლობა, თავისუფლება
იმ დიდ ბრძოლების შედეგი არის.
თქვენ კი დღეიდან, ახალგაზრდობავ,
ჩვენგან გახსოვდესთ ეს მაგალითი,
თუ ჩვენ როგორი ურყევი რწმენით
ვიბრძოდით ხალხთა საკეთილდღეოდ.
თან წინ დაუდგენ მოხუც ბოლშევიკს
თავის შვილები—პიონერები,
ალერსიანად ყველამ ხელებით
ჩამოუვარცხნა თეთრი წვერები.
ეფიცებიან:—ძვირფასო მამა!
ჩვენც მშრომელთათვის თქვენებრ ვიზრუნებთ,
წითელ დროშის ქვეშ დარაზმულები
მოხუც სამყაროს ამოვაბრუნებთ.
ყველა ვეცდებით საერთო ძალით,
რომ შევასრულოთ მოვალეობა,
შრომის დროს შრომა, ბრძოლის დროს ბრძოლა,
და ვერ შეგვიპყრობს სულმოკლეობა.
ლენინის გეზით ვივლით ბოლომდე
ჩვენც, კამოსავით რწმენაურყევი,
თუ დრო მოითხოვს,—აფრიალდება
ბრძოლის დროს დროშად ეს ყელსახვევი!..

ზ. დოლიაშვილი

აღმშენებლობის თორმეტი წელიწადი.

თორმეტი წელიწადი...

ეს დრო არ არის ძალიან დიდი... მაგრამ იგი ბევრს ლაპარაკობს მუშათა კლასის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების და სოციალიზმის მშენობლობის საქმეში.



ოქტომბრის დღეებში. ტყვიამფრქვეველთა რაზმი.

აღნიშნული დრო — ეს არის ბრძოლების და ნაყოფიერი აღმშენებლობის ხანა. ეს ხანა იმდენად მნიშვნელოვანია და შინაარსით მდიდარი, რომ ადამიანი განცვიფრებული შეხედავს იმ მიღწევებს, თორმეტი წლის განმავლობაში რომ გვაქვს და ჩვენს უდიდესი სიჩქარით წინსვლას, რადგან მისვლა იმ მიღწევებამდე, რაც გვაქვს, სხვა დროს და სხვა პირობებში შეიძლებოდა არა წელიწადთა, არამედ საუკუნეთა განმავლობაში. მაგრამ მშრომელი ხალხის მტკიცე ნებისყოფამ, უსაზღვრო სურვილმა უტყუარ ფაქტად მოგვცა ის ამბავი, რომ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მივაღწიეთ უდიდეს საქმეებს.

საბჭოთა კავშირი უდიდესი ამოცანების წინაშეა: ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალური განვითარება, სოფლის მეურნეობის გარდაქმნა სოციალისტურ საფუძვლებზე, კულტურული რევოლუციის პრაქტიკული განხორციელება და სხვ.

თორმეტი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი და მისივე ხელმძღვანელობით მშრომელი გლეხობა შეუჩერებლად, თავდადე-

ოქტომბრის დღეებში

ბულად და ენერგიის დაუზოგავად აშენებს და ძველი ცხოვრების ნანგრევებზე ჰქმნის სრულიად ახალ და უკეთეს საზოგადოებას. ეს აღმშენებლობა, რომელიც თორმეტი წლის განმავლობაში სწარმოებდა, გვაძლევს საბაბს ვთქვათ, რომ ჩვენი მუშათა კლასი, მშრომელი გლეხობა, კვლავ შეებრძოლება მომავალ სიძნელეებსაც და ამით შესძლებს დიდი ამოცანების შესრულებას.

ოქტომბრის რევოლუციამ სულ ახალი შინაარსი მისცა მუშათა კლასის ცხოვრებას, მან შესძლო მშრომელთა ეკონომიური ურთიერთობის რთული ხლართების გეგმიან ურთიერთობაში ჩამოყალიბება, რვა საათის განმტკიცება, ხოლო მას შემდეგ, პირველად მსოფლიოში, მუშებისათვის 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლა, ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება, კულტურული წინსვლა, საბჭოთა აპარატებში მუშების დაწინაურება, მუშაფკების, მუშათა უნივერსიტეტების დაარსება და სხვა მრავალი.

ოქტომბრის რევოლუციამ შესძლო მუშების და მშრომელი გლეხობის კავშირის განმტკიცება სოციალისტური აღმშენებლობის წარმატებით წასაყვანად, მშრომელი გლეხობის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესობა, სესხების მიცემა, დახმარება ღარიბ გლეხობას, შელავათების მიცემა საშუალო გლეხობისთვის, კოოპერაციაში გასაერთიანებელი ფონდების გაღება და სხვა მრავალი, რაც ლაპარაკობს იმას, რომ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ შეიქნა შესაძლებელი გლეხი გამოსულიყო სინათლეზე.

ოქტომბრის რევოლუციამ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა მრავალი ეროვნების ძმურ კავშირს, მათ შორის სოლიდარობას; მრავალი ერის არა ძმური დამოკიდებულება მეფის მთავრობის მიერ იყო შექმნილი, რაც თებერვლის რევოლუციამაც ვერ მოსპო. ავიღოთ საქართველოს, ა/კ. მდგომარეობა. ყველამ იცის, რომ წინათ განუწყვეტლივ ებრძოდენ სომხები ქართველებს, ქართველები — სომხებს, ოსებს, აჭარლებს, აზერბეიჯანი — სომხებს, და ამ ერთა შორის არასოდეს არ იყო მშვიდობიანი განწყობილება. მაგრამ დღეს ეს ერები, გაერთიანებულნი ძმურ კავშირში, შეერთებული ძალ-ღონით იბრძვიან სოციალიზმისათვის. ასეთ მდგომარეობას ჩვენ მივაღწიეთ მხოლოდ და მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის წყალობით.

ამავე რევოლუციამ შედეგად მოგვცა ქალთა განთავისუფლება მამაკაცის მონობისაგან. ოქტომბრამდე ქალი კერძო საკუთრებას წარმოადგენდა და მას მოქალაქის უფლებები არ ჰქონდა მოპოებული, საზოგადოებრივ საქმეებში ქალი არ ჩანდა; ახლა, რევოლუციის შემდეგ, ქალი გამოვიდა ასეთი კარჩაკეტილი მდგომარეობიდან და იგი ისეთივე უფლებებით სარგებლობს, როგორც მამაკაცი: ირჩევენ საბჭოებში, სახელმწიფო აპარატში და სხვა საზოგადოებრივ საქმეებში.

ოქტომბრის რევოლუციამ მშრომელი ხალხისთვის ფართოდ გააღო სასწავლებლების კარი. თუ წინათ სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები შეძლებულთათვის იყო, ახლა მშრომელთათვისაა. აუარებელი სკოლა, უნივერსიტეტები ამზადებს მშრომელთა წრიდან გამოსულ ახალგაზრდებს.

ახალგაზდობა, რომელიც წინათ საშინელ ეკონომიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ახლა უკეთეს პირობებშია: აქვს განსაზღვრული სამუშაო დრო, ხელფასი, შრომის პირობები და სხვა, რაც თანდათან უმჯობესდება.

ოქტომბრის რევოლუციამ დიდი ცვლილება შეიტანა ბავშთა ცხოვრებაშიც; თუ ბავში წინათ ვერ იზრდებოდა საზოგადოებისათვის, ახლა ეს მდგომარეობა გაუმჯობესდა. რევოლუციამ ძირითადი გარდატეხა მოახდინა ბავშთა ცხოვრებაშიც. ისინი თავის მშობლებთან და ძმებთან ერთად აშენებენ კომუნისტურ საზოგადოებას, იბრძვიან



ახალი ცხოვრებისათვის და იზრდებიან აქტიურ მშენებლებად. კომკავშირის მიერ ჩამოყალიბებულმა პიონერთა ორგანიზაციამ გაათავისუფლა ბავშვები ბურჟუაზიულ-სკაუტური ორგანიზაციების გავლენისაგან და მათი აღზრდა ჩვენი პარტიის ამოცანებს დაუკავშირა.

ახლა გადავდივართ ოქტომბრის რევოლუციის განვითარების ახალ და ძნელ საფეხურზე. ეს არის მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდი, რომელიც გადახლართულია მთელ რიგ სამეურნეო სიძნელეებთან, რომელიც მოითხოვს მეტ ენერგიას, მეტ სიმტკიცეს და შემოქმედებითი ძალების გაერთიანებას. ამიტომ გაბედული ბრძოლა სიძნელეების წინააღმდეგ, ბრძოლა საკუთარ ნაკლთა გამოსასწორებლად, ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობასთან, ბრძოლა მტრებთან, ჩვენს მოღალატეებთან, სოციალისტური აღმშენებლობის წარმატებისთვის — ეს არის თავდები, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ, რომ ჩვენ ავაშენებთ სოციალიზმს და მკვიდრ საფუძველს ჩავუყრით მსოფლიო ოქტომბერს, რომლისთვისაც იბრძვიან მთელი ქვეყნის პიონერთა მამები, ძმები და მეგობრები.

ა. კოჩლავაშვილი.

რპინის გზაზე.

(ეპიზოდი სამოქალაქო ომიდან. გადმოკეთებულია რუსულიდან).

მოქმედნი:

ანდრო—მეისრე.
მაშო—ცოლი.
სიმა—შვილი, 12 წ.
უცნობი—მდიდარი.
იუნკერი—ამისი შვილი.
მატ. რებლის უფროსი.
მუშა—წითელგვარდიელი.

სცენა: ჯიხური (ბუდკა) ოთახი. სიმა მოუსვენრადაა, მიდი-მოდის, ხშირად იყურება ფანჯარაში. პაუზა. ისმის ორთქლმავლის შორი კივილი. ყურს უგდებს. უხარია. კარზე კაკუნი.

მაშო. ჩქარა, შვილო, გააღე კარი.

სიმა. შენა ხარ, დედა? (ულებს. შემოდის)

მაშო. სიმა, მამა ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა? (რაღაცას ეძებს)

სიმა. არა, არ არის. დედიკო, რათ ღელავ?

მაშო. მაშ სად დაიკარგა აქამდე? ვინ იცის, კიდევ სადმე კრებაზეა.

სიმა. რას ეძებ?

მაშო. რასა და ბაირაღს. მალე მონახე. ვიღაცას აქვე მოსახვევში ლიანდაგი აუყრია. საცაა ჩქარი მატარებელი გამოივლის პიტერიდან და ნიშანი უნდა მივცე, რომ შეაჩერონ, თორემ გადავარდება, დაიმსხვრევა, და შიგ კი ისეთი მდიდარი ხალხი ზის... ჩქარა, რას უდგეხარ გაშეშებულივით და აბრიალებ თვალებს? ო, რაღა ვქნა ახლა, სად დაიკარგა? მერე და რაიმე მარცხი რომ მოხდეს, მაშინ ხომ მამაშენს გამოაგდებენ სამსახურიდან, დაიჭერენ და დახვრეტენ!..

სიმა. დედა!.. ნუ ჯავრობ... ის მატარებელი დეე დაიღუპოს და შიგ მჯდომი ხალხიც ჭირს წაუღია... ეგენი არ იყვნენ, რომ ჩვენი კოლია, ჩემი ძმა, ომში გაგზავნეს და მოჰკლეს? ეგენი ხომ ბურჟუები არიან, მუშახალხის მტრები! რათ გენანება? აბა, ყური დაუგდე ხოლმე, რას ლაპარაკობენ მაგათ შესახებ მამა და ძია პეტრე... მეფე ჩამოვაგდეთ და ახლა ეგენი წამოგვასხდენ კისერზეო... ჩვენ ისევ ძველებურადა ვართ გაჭირვებაში და თავისუფლება მხოლოდ სიტყვაა.

მაშო. ნუ სულელობ... სწორედ მამაშენი და ის პეტრე გრევენ შენა... მოძებნე ჩქარა.

სიმა. არ მოვძებნი... უნდა დაიღუპონ (ისმის მოახლოვებული ორთქლმავლის კივილი და გუგუნი)

მაშო. ვაიმე! მალე! უკვე ახლოვდება! აი!.. (იპოვნის ბაირაღს, გარეთ, მიეშურება, მაგრამ კარებში სიმა აეკუდება, არ უშვებს) გამიშვი.

სიმა. დედა, არ გაგიშვებ!..

მაშო. გამიშვი, თორემ ვიყვირებ!

სიმა. რამდენიც გინდა, დედა, იყვირე, მაინც არ გაგიშვებ!.. (მატარებლის გუგუნი უფრო ახლოვდება. მაშო ძალობს გასვლას, სიმა არ უშვებს. კაბაზე ჩამოეკონწიალება, კისერზე ხელებს ჰხვევს, ყოველმხრივ ცდილობს ხელის შეშლას).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშო. ვაიმე! დავიღუპეთ!.. რას მიშვრება ეს მოუსვენარი!. (გაუსხლტდება, მაგრამ გვიანღაა. მატარებელი ჩაუქროლებს ჯიხურს, ეს თმებში ხელს იტაცებს). აგერ, უკვე მიადგა იმ ადგილს... ახლა საცაა გადავარდება, დაიმსხვრევა! აჰა, მოსახვევში!.. აჰ!.. (შეჰკივლებს და ძირს ეცემა. ისმის ორთქლმავლის კვილი, ხმაური; გახედავს) შესდგა?! მემანქანემ შეამჩნია, ალბათ, საბედნიეროდ... ხალხი გადმოდის... (სიმა უკმაყოფილოდ დგება).

სიმა. მაშ გადარჩენ?! (ისმის წივილი, მატარებლის უფროსის ყვირილი; გამოჩნდება. შემოდის).

უფროსი. სად არის მეისრე?

მაშო. (შიშით) არ ვიცი, ბატონო უფროსო.

უფროსი. რაო?! როგორ თუ არ იცი?! ა? ახლავე აქ მომგვარეთ. როგორი მეისრეა, რომ თავის ადგილზე არაა ამ დროს? ამბოხება? მე თქვენ გიჩვენებთ!!! ახლავე მიპოვეთ, თქვე არამზადებო, თორემ ყველას დაგხვრეტთ! შენა, ე, თხუნელავ, სადაა მამაშენი? ა? ახლავე მოძებნე და მოიყვა აქ!..

სიმა. (ამაყად) არც მე ვარ თხუნელა და არც ის ვიცი, თუ სად არის მამა... თუ აგრე ძალიან გინდა, წადი და შენ თვითონ მოძებნე!..

უფროსი. ხმა! კრინტი!.. (მუქარით მიიწევს).

მაშო. შვილო, სიმა, უფროსია... აბა, ეგრე როგორ შეიძლება?.. (უფროსს) აპატიეთ, ბატონო უფროსო, ბავშია და მიქარავს, არაფერი გაეგება...

უფროსი. გიცნობთ, რა შვილებიცა ხართ! ეტყობა, რაც ბავშია! ბოლშევიკების ბარტყი!.. გადავაქოთებ ამ არეს და მაინც ვიპოვნი მეისრეს და მერე ნახავთ!!! (გაოთ ხალხის ხმაურია, შიში—მატარებლის შეჩერების გამო, უკმაყოფილება, უფროსს კითხულობენ და სხვა. ეს მივა ფანჯარასთან, გასძახებს) ბატონებო, დამშვიდდით! არაფერია!.. ნუ შფოთავთ!.. ჩვენ ისევე სადგურზე მოგვიხდება დაბრუნება. ამ წუთშივე გამოირკვევა ყველაფერი... დამშვიდდით!.. (ამათ) მე თქვენ გიჩვენებთ, თქვე... დაგხვრეტთ!.. (საჩქაროდ ვადის).

მაშო. ბატონო უფროსო, გთხოვთ... ჩვენს ცოდვას ნუ დაიდებთ... (ხვეწნით მისდევს უკან).

სიმა. დედა, ნუ... არაა საჭირო...

მაშო. იქით!.. ბატონო უფროსო... (გაჰყვება, სიმა შესდგება, დაღონდება. პაუზა. ამ დროს ფანჯარაზე მოისმის ფრთხილი კაკუნი.)

ანდრო. შვილო, სიმა.

სიმა. ო, მამა, შენა ხარ? (მივა) არ მოხერხდა, მამა?

ანდრო. გადარჩენ. არაფერი გამოვიდა... ეაგრამ, შვილო, შენ გახსოვდეს, რომ მუშის შვილი ხარ, პატარა ბოლშევიკი და მამის შემცვლელი ამ ბრძოლაში... თუ ვინიცობაა მე... (შემოდის).

სიმა. ფეხის ხმა?! (ყურს უგდებს).

ანდრო. თუ, ვინიცობაა, მე დავიღუპო, გახსოვდეს ჩვენი მტრები...

სიმა. კარგი, მამა... მესმის... განა, წელან, ლიანდაგს, რომ ჰყრიდი, მე არა ვნახე, მაგრამ... აჰ, მამა, ვილაც ორნი არიან... აქეთ მოდიან...

ანდრო. ეჰ, დეე, მოვიდენ... (ხელს ჩაიქნევს).

სიმა. რას ამბობ, მამა! დაიმალე!.. ხომ იცი, არ დაგინდობენ... მერე ვუხელთებთ კიდევ დრო... დაგვაცადონ ცოტა ხანს! აბა, გადაძვერ ფანჯარაში... მალე... როგორი ბოლშევიკი ხარ, მამა! ისკუპე და გადახტი... ფარდულში დაგმალავ ისეთ ადგილას, რომ ეშმაკებმაც ვერ მოგაგნონ... მერე კი ვიფიქრებთ რასმეს!..

ანდრო (გულაჩუყებული). ო, შვილო, შვილო!.. ჩემო პატარა გმირო... (ეხვევა. ფანჯრიდან გადმოხტება. სიმაც მისდევს. ამ დროს შემოდის უცნობი იუნკრის თანხლებით და ფრთხილად ათვალიერებს აქაურობას...)

უცნობი. აი, ეს კარგია... არაავინაა... შენ აქ დარჩები დაღამებამდე და... (ჩამოჯდება, გლეხური ქურქი აცვია) ამ მატარებლის შეჩერებამ მთლად ჩამიფუშა გეგმები... (პაუზა) ახლა ვეღარ წავალ... უკან გავბრუნდები... და, ჩემო საყვარელი შვილო, შენ უნდა იკისრო ეს დავალება... შენ დღესვე უნდა გადახვიდე საზღვარზე და... (ადგება, მხრებზე ხელებს დაადებს შვილს და თვალებში უყურებს) შვილო, ხომ გიყვარს შენი სამშობლო?

იუნკერი. ო, მამა! მთელის ჩემის არსებით!.. (გ მოეკიმება).

უცნობი. ყოჩაღ!.. მომწონს!.. ეგრე... ჰო და... აი, ყური დამიგდე... შენ ფრთხილად ივლი. რა ზღვას მიადგები, პირდაპირ ლონდონში გასწიე გემით... (ამ დროს ფანჯარასთან გამოჩნდება სიმა და, რა ამათ შეამჩნევს, უკან დაიწევს ჩუმად ყურს უგდებს...) მიდი იქ საგარეო საქმეთა სამინისტროში და რა ჩემ სახელს ახსენებ, მოითხოვე თვითონ ბატონი მინისტრის პირადი ნახვა და აი ეს ბარათი გადაეცი... დანარჩენი თვითონ იცის... (პაკეტს გადასცემს.

იუნკერი. მესმის!.. (უბეში ინახავს) იქიდან ყველაფერს მოგწერ, მამა... (აკოცებენ).

უცნობი. აი ეს ქურქი ჩაიცვი ზემოდან, რომ თვალში არავის მოხვდე, არ გიცნონ... (იხდის. აცმევს) აი ასე სჯობია... მე დავბრუნდები, ახლა, შვილო, და აბა შენ იცი... მოგვეშველონ... აღადგინონ აქ წესიერება, თორემ ვეღარ ავიტან ამდენ არეულობას რუსეთში... ჯერ იყო და ჩვენი საყვარელი მეფე ჩამოაგდეს, ეს სოციალისტები გამეფდენ და ახლაა კიდევ და ძალა-უფლება ბოლშევიკებმა ჩაიგდეს პიტერში... საცაა ყველგან გავრცელდება მათი ხელისუფლება... ეს ჩვენი პატარა-პატარა აჯანყებები მათ წინააღმდეგ ვერაფერს იზამს, თუ ისინი არ მოგვეშველენ... ქარხნები ჩამოგვართვეს და მუშებს გადასცეს, ეს მიწებია და გლეხებს დაურიგეს... აბა, შენ იცი... ვიღაცა მოდის... შენ თავი მოიავადმყოფე და... (ამ დროს შემოდის სიმა, უკმაყოფილოდ შეხედავს, მაგრამ არ იმჩნევს, ეიესალმება) ოო, რა კარგი ბიჭუნაა! ვისი ხარ? გამარჯობა, პატარავ!..

სიმა. გამარჯობათ, ბატონო.

უცნობი. მატარებელი გაგვიჩერდა და აქეთ წამოვედით... ცოტა ცივა და აქ შემოვეფარენით. ეს ჩემი მსახურიც ავად გამიხდა და... დე, ცოტა ხანს იყოს აქ, ვიდრე დავბრუნდები...

სიმა. იყოს, ბატონო, აქ, ჩვენთან, თბილა... საცაა დედა და მამა მოვლენ და...

უცნობი. სასიამოვნოა... გმადლობთ, პატარავ... შენც ხომ ჩვენი ხარ?

სიმა. ვინ თქვენი?!

უცნობი. (იბნევა) აი... სოციალისტი... ბოლშევიკი...

სიმა (ეცინება). როგორ, ბატონო, თქვენ ბოლშევიკი ხართ?..

უცნობი. მაშ... აბა, ნახვამდე... (ეშმ იდობება. გადის. სიმა თვალს გააყოლებს დაცინვით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმა. (იუნკერს). გაიხადეთ, ბატონო, მოისვენეთ... (უნდა უშველოს გახდა, თან რაღაცას ათვალიერებს).

იუნკერი. არა, პატარავ, არა... მე თვითონ... (არ ანებებს. ამ დროს პაკეტი გადმოუვარდება უბიდან, სწრაფად დასტაცებს ხელს და ინახავს ქურქის ჯიბეში).

სიმა. რა არის, ბატონო, ფულია შიგ?

იუნკერი. არა... აბა ვინ მოგვცა ჩვენ ფული... რაღაცა წერილი გამომატანა დედამ, აი აქვე, მესამე სადგურზე მსახურობს ჩემი ბიძა და იმასთან...

სიმა. მაშ, რაღად შეგეშინდა?

იუნკერი. ვისა? მე?! (ეცინება. იბნევა).

სიმა. ჰო, შენ...

იუნკერი. აი თუ შემეშინდა... (ამოიღებს და მაგიდაზე სდებს. სიმა სწრაფად დასტაცებს ხელს, მაგრამ იუნკერი არ ანებებს, გაჩაღდ ბა ბრძოლა. ამასობაში იუნკერს რევოლვერი დაუვარდება, სიმას ახლა იმის აღება უნდა, ის არ ანებებს, ამ ძიძგილში მამა გამოჩნდება ფანჯარაში და ამ სურათის მნახველი შემოვარდება, მაგრამ იუნკერი სძლევს სიმას, რევოლვერს ართმევს, უმიჯნებს).

სიმა. აა, შენ ბურჟუის შვილი ხარ? თავადის? მდიდრის? კონტრრევოლუციონერი?!

ანდრო (შემოსვლისთანავე ყვირის). რას სჩადიან? ნუ მომიკლავთ შვილს!!! (კარიდან გასძახებს ვიღაცას) ჰეი, ძმაო, ვინა ხართ მანდ, გამვლელი, გვიშველე!.. ბავშს მიკლავენ... (ამასობაში იუნკერი ესვრის სიმას, დასჭრის, ფანჯარაში გადახტება; ამ დროს ანდრო რევოლვერს წაართმევს, ესვრის, მაგრამ არ ვარდება.. შემობრის მუშა წითელგვარდიელი თოფით, ფანჯარასთან მიირბენს).

სიმა. დაიჭით, თეთრგვარდიელია!.. (უნდა ადგეს, მაგრამ ვერ ადგება).

მუშა. აა, ვერსად წახვალ, ბატონო! (ესვრის. იქიდან მოისმის მომაკვდავი იუნკერის შეკივლება, კვნესა ..)

ანდრო. ჰე, მოხვდა?! (ბავშთან მიირბენს, უვლის)

მუშა. გათავდა!

ანდრო. ო, საყვარელო შვილო, სიმა... დაგჭრა?!

სიმა. (ღიმილით) რა უშავს... ალბათ ასე უნდოდა... აი, მამა, თუ იქ, მატარებელზე, არაფერი გამოვიდა, სამაგიეროდ აქ კი... გამოვიდა რაღაცა... (პაკეტს აძლევს... მუნჯი სცენა. ჭრილობას უხვევენ).

თეთრი ხარგინი

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ამჟამად საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის უთანხმოებაა ჩამოვარდნილი.

კონტრრევოლუციონური გენერლების მიერ ყაჩაღური თავდასხმა და საბჭოთა მოსახლეობის დარბევა და აწიოკება, რასაც დღესაც აქვს ადგილი ჩინეთის იმ მხარეში, სადაც აღმოსავლეთის რკინის გზა მდებარეობს, სწორედ ამ უთანხმოების საბაბია. მაგრამ ჩინეთის კონტრრევოლუციონერების თავხედობა იქამდე მივიდა, რომ მათ არ იკმარეს მარტო საბჭოთა მოქალაქეების დარბევა და რკინის გზის ხელში ჩაგდება, არამედ ჩვენს საზღვარზეც სცადეს ყაჩაღური გადმოსვლა, რასაც სათანადო პასუხი გასცა და დღესაც აძლევს საზღვრის მცველი ჩვენი წითელი არმია.

იმ ამბებს, რაც ჩინეთსა და საბჭოთა შორის ხდება, უშუალოდ ხელმძღვანელობს კონტრრევოლუციონური ხარბინი, სადაც ჩინეთის რეაქციონერების გარდა დაგროვილია რუსი თეთგვარდიელების ბანდები; თეთრი ემიგრანტები ის ხალხია, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის რკინის ცოცხმა გადახვეტა ჩვენი საზღვრებიდან, წაართვა მათ მშრომელ ხალხზე ბატონობის უფლება; ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ეს ხალხი საბჭოთა ქვეყანაზე გაბოროტებულია.

ეს ასეცაა და აი ჩვენ ვხედავთ, რომ თეთრგვარდიელები, ეს ყოფილი გენერლები, მემამულეები, მეპატრონეები, ყველგან, სადაც კი შესაძლებელია, შხამს ანთხევენ და ათასგვარ ხრიკს მიმართავენ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ.

თეთრგვარდიელების დიდძალი ნაწილია დაგროვილი ჩინეთში, ისინი მონაწილეობას იღებენ საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოების გართულებაში.

მათი მოღვაწეობის ცენტრი, რასაკვირველია, ჩინეთის აღმოსავლეთ რკინის გზაა, და ინტრიგების და ყაჩაღური ზრახვების ხელმძღვანელი კი ხარბინია.

საკმარისია გასცდეთ საბჭოთა კავშირის საზღვარს ჩინეთის რკინის გზის ხაზით, რომ პირველ სადგურშივე ვაგონში შეეფეთოთ ჩინელ პოლიციელს, რომელსაც თან ახლავს რამდენიმე ჯარისკაცი და მათთან ერთად რამდენიმე რუსი თეთგვარდიელი. ამ დღეებში საბჭოთა ერთი ჟურნალისტი სწერდა: „თუ დაინტერესდებით ამ თეთგვარდიელების პიროვნებით, მათში უსათუოდ რომელიმე წარსული არისტოკრატიული გვარის შთამომავალს აღმოაჩენთ“.

თქვენ შეიძლება იფიქროთ, რომ ეს თეთგვარდიელები ამ ჩინელი პოლიციელების უბრალო მხლებლებია. სრულებით არა! ისინი, პირიქით, მთავარი ხელმძღვანელები არიან იმ ჩხრეკის, რომელსაც აწარმოებენ. ჩინელი ოფიცრები მეტ წილად ვერ ლაპარაკობენ რუსულად და ამიტომ ყოველგვარი მოწმობის და ვიზების შემოწმება ამ თეთრგვარდიელების ხელშია.

რასაკვირველია, აქ ამ ყოფილ „გრაფს“ ან „თავადს“ არა აქვს ის უფლებები, რომლითაც სარგებლობდა მონღოლიაში ვინმე თეთრგვარდიელი, რომელიც შენიშნულ საბჭოთა მოქალაქეს პირში ადუღებულ ტყვიას ასხავდა, ან სამხეცეში ჩასვამდი, მაგრამ მისი ერთი სიტყვა საკმარისია, რომ თქვენ კომინტერნის აგენტად გამოგაცხადონ, ჩინეთისათვის საეჭვო პიროვნებად მიგიჩნიონ.

ხარბინის მთელი ადმინისტრატიული აპარატი ასეთი თეთგვარდიელებითაა ავსებული. თეთგვარდიელი აქ პოლიციელიცაა, ჩინოვნიკიც, აგენტიც, მცველიც და სხვა.

ჩინელი ჩინოვნიკები თეთგვარდიელებს უცქერიან როგორც ისეთ ადამიანებს, რომელნიც გამორიყულნი არიან სამშობლოდან, ამიტომ სძულთ თავიანთი სამშობლო, ახლა საბჭოთა კავშირი, რომლის საწინააღმდეგო საქმეში ისინი არაფრის წინაშე არ დაიხევენ. თეთრგვარდიელებმაც კარგად იციან, თუ რისთვის ესაჭიროება ისინი ჩინეთს და ამიტომ პირნათლად ასრულებენ სამსახურს, რასაც ის ნაყოფი მოაქვს, რომ **პოლიტიკურ ამინდს** ნაწილობრივ ისინიც ჰქმნიან. ისინი სჩადიან ყოველგვარ საძაგლობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგაა მიმართული; ჩინეთის ანტისაბჭოთა მოქმედება — ეს მათი მოქმედებაა. ისინი ჯაშუშობენ, ადგენენ ყალბ დოკუმენტებს, ავრცელებენ ცილს, არწმუნებენ ჩინელებს საბჭოთა კავშირზე თავდასხმის აუცილებლობაში, ერთი სიტყვით, ქმნიან ისეთ პირობებს, რომელშიაც უძნელდება მუშაობა საბჭოთა წარმომადგენლობას ხარბინში და საბჭოთა მოქალაქეებს ჩინეთის აღმოსავლეთ რკინის გზაზე.

თეთრგვარდიელების ანტისაბჭოთა მუშაობა თვით ხარბინში იმაში გამოიხატება, რომ ისინი ყოველ ფეხის ნაბიჯზე დევნიან საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს, არ თაკილობენ პოლიტიკურ შანტაჟს, სიყალბეს, გაიძვერობას და ხანდახან იარაღით თავზე დაცემასაც. რასაკვირველია, ამის მეტი მათ არაფერი არ დარჩენიათ, და, აი, თეთრი ხარბინიც ხარობს და ჰყვავის მათი კეთილშობილური სამსახურით.

ანტისაბჭოთა მოქმედება ხშირად ისეთ სასაცილო მდგომარეობამდე მიდის, რომ კრძალავენ საბჭოთა კინოების დადგმას; ეს კიდევ არაფერი; საქმე ისაა, რომ ხშირად წითელი ლამპის ანთებას, ან წითელი ცვირსახოცის გამოტანასაც კრძალავენ.

ჩინეთის ადმინისტრაცია, ყიდულობს რა თავისი სამსახურისათვის თეთრ ემიგრაციას, უყურებს ამ ემიგრაციას, როგორც ისეთ ადამიანთა მასალას, რომლის გამოყენება შეიძლება, სანამ ის საჭიროა, შემდეგ კი თავიდან მოშორებაც არ იქნება შეუძლებელი.

ს. ნი

ოქტომბრისათვის

ჩვენ მოგონებას აღარ ვიკმარებთ,
მშენებლობაში მივდივართ წინსვლით,
მთებს ხომ ძირები გამოვუთხარეთ,
მტრის წინააღმდეგ ყოველდღე ვიბრძვით.

—

დღეებს ახალი დღეები მოსდევს,
გვირაბს ბური და კვამლი აცვია,
და თან მიუვალ მთის ფერდობებზე
ქარხნებს მილები აუმართიათ;

—

და ვაფრიალებთ ბრძოლის ბაირაღს,
ჩვენ შებრძოლება ისევ მოგველის,—
მკერდებში რკინის გულებს ჩავიდგამთ
და მტერს გმირულად შევეომებით.

—

ახლა ეგ ბრძოლა უბარიკადო
ფოლადისებურ აზრის და განცდის,—
თვითეულ ქვაბსაც უნდა გვიამბოს,
მშენებლობაში რომ დავვაჟკაცდით.

—

დღევანდელობის ბრძოლას და შრომას
მუშა მართავს და მუშა განაგებს,
დღეს ოქტომბერის მნიშვნელობაზე
ბავშიც თამამად ილაპარაკებს.

—

გაგეხარდება, როცა შეხედავ
ამ მშენებელთა რიგებს და ბანკს,
რომ დაღებული მანქანის ხახა
კირსა და ქვიშას ურიცხვად ყლაპავს.

—

დღევანდელობის შრომას და ბრძოლას
მუშის გულ-მკერდი ფხიზლად განაგებს;
დღეს ოქტომბერის მნიშვნელობაზე
ბავშიც თამამად ილაპარაკებს...

ალ. ადამია

გამარჯვეგულთა სიმღერა

ძმებო, ზვირთისებრ გრგვინავენ
გაგენთებული გრძნობები,
როს ჩანჩქერივით უხვია
მონაპოვარი ბრძოლების.
ბრძოლებს მშრომელთა გულ-მკერდზე
გადუქროლია მრავალჯერ,
ცეცხლის ვულკანი შეხლია
ძველი ეპოქის საფუძველს.
თვითეულ კაცის სიმტკიცე
თუ ბრძოლის ძალად გვიღირდა,
დღეს ცეცხლი ანაპრალდება
მშრომელთა გულის სიღრმიდან...
მაგრამ ჯერ ისევ მძვინვარებს
ძველი სამყაროს ძალები,
და გულზე სევდას მოგვაფენს
კვლავ ხსოვნა კომუნარების.
ჩვენ თუ ბრძოლების სიმძაფრით
გაგვიმარჯვია მრავალჯერ,
გვჯერა, რომ „ანდერძს“ ავუგებთ
შავბნელ მსოფლიოს ბნელ ძალებს.
წარსულ ბრძოლების ქარცეცხლი,
წარსულ ბრძოლების სიმძაფრე
ბოლშევიკების მძლე ზვირთებს
აღთქმულ მიზნისკენ მიგვაფრენს.

გრიგოლ იკოშვილი.

„საბჭოთა ქვეყნის“ გადაფრენა მოსკოვიდან ამერიკაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ყველამ იცის, რა სისწრაფით ვითარდება ავიაცია. ყოველ წელს ამ მხრივ ახალ-ახალი გამარჯვება მოაქვს. ევროპის ქვეყნები დღედაღამე მუშაობენ ავიაციის განვითარებისათვის და დიდი მიღწევებიც აქვთ. ცხადია, მშრომელთა ქვეყანაც, საბჭოთა კავშირი, სათანადო ზომებს უნდა იღებდეს, რომ ამ მხრივ არ ჩამორჩეს სხვა სახელმწიფოებს. მართლაც, ს. ს. რ. კ. ძალზე ზრუნავს თავისი ავიაციის განვითარებაზე.

დიდი ხანი არ არის, რაც საბჭოთა აეროპლანი „საბჭოთა ფრთები“ მოსკოვში დაბრუნდა დასავლეთ ევროპიდან. მან დაამტკიცა, რომ ჩვენში დამზადებულ აეროპლანს შეუძლია ხანგრძლივი ფრენა, დიდი მანძილის და დაბრკოლებების გადალახვა.

როდესაც „საბჭოთა ფრთები“ დაბრუნდა დასავლეთ ევროპიდან, მოსკოვის აეროდრომზე აზუზუნდა და აღმოსავლეთის მიმართულებით შეინავარდა ჰაერში მეორე დიდ აეროპლანმა „საბჭოთა ქვეყანა“, რომელიც ციმბირისაკენ გაემართა, რომ 20000 კილომეტრი მანძილი გადაეფრინა ციმბირზე, წყნარ ოკეანეზე და ჩრდილო ამერიკაზე.

ეს აეროპლანი გაკეთებულია ინჟენერ ტუპოლევის პროექტის მიხედვით, მას აქვს ორი მოტორი და თითოეული მათგანის ძალა 600 ცხენის ძალას უდრის. ამ აეროპლანის დანიშნულებაა ხანგრძლივი ფრენა. მასზე მოწყობილია რადიოსადგურიც.

„საბჭოთა ქვეყანა“ მოსკოვის აეროდრომიდან აფრინდა 23 აგვისტოს დილის 3 ს. 20 წამზე. ამავე დღის 2 ს. და 30 წამზე (მოსკოვის დროით) ის მიფრინდა ჩელიაბინსკში და გაიარა 1500 კილომეტრი საშინელი მოპირდაპირე ქარის დროს.

მეორე დღეს აეროპლანი ჩელიაბინსკიდან კურგანში გადაფრინდა, იქიდან — ომსკში, ომსკიდან — კრასნოიარსკში. 27 აგვისტოს იქიდან გაფრინდა ირკუტსკში და 850 კმ. გაიარა 5 ს. და 13 წამში, ე. ი. საათში 162 კმ. გადიოდა. აეროპლანს საქმეს უჭირვებდა საშინელი მეტეოროლოგიური მოვლენები და ის იძულებული იყო რამდენიმე დღეს ირკუტსკში გაჩერებულიყო. ირკუტსკიდან ბაიკალის ტბის მიმართულებით უნდა წასულიყო. ცნობები მოსალოდნელი ამინდის შესახებ არასანუგეშო იყო, მაგრამ „საბჭოთა ქვეყანა“ მაინც გაფრინდა და სასტიკად შეებრძოლა ავდარს, როგორც იქნა, სძლია და ვერხნეუდინსკში ჩაფრინდა და იმავე დღეს ჩიტას მიაშურა, თუმცა კოკისპირულად წვიმდა. 2 სექტემბერს ჩიტადან ბლაგოვეშჩენსკში მივიდა, მეორე დღეს კი იქიდან ხაბაროვსკში, სადაც „საბჭოთა ქვეყანა“ აეროდრომზე მშვიდობიანად დაეშვა. ამრიგად დასრულდა ციმბირზე გადაფრენის პირველი ნაწილი, რამაც დიდი დაბრკოლებების გადალახვა მოითხოვა.

გაცილებით უფრო საშინელი იყო შემდგომი გზა — აეროპლანს უნდა გადაეფრინა უდაბურ ოხოტის და ბერინგის ზღვებზე (წყნარ ოკეანეზე). ეს ორივე ზღვა მართლაც აუტანელია, აქ მებადურის ნავსაც კი იშვიათად შეხვდებით; აქ თითქმის გამუდმებით საშინელი ნისლი დგას მთელი კვირაობით. იშვიათია სხვა ასეთი ზღვები მთელ დედამიწის ზურგზე. ძალიან საინტერესო იყო გამოეკვლიათ მთელი წლის განმავლობაში დგას აქ ეს ნისლი, თუ არის ისეთი თვეები, როდესაც ეს ზღვები თავისუფალია ნისლისაგან. გამოკვლევამ ნათელჰყო, რომ აგვისტო — სექტემბერში შედარებით უფრო ხელსაყრელია ამ ზღვებზე გადაფრენა: ნისლი 5 9 დღის განმავლობაშია თვეში და არა 15 — 20 დღის განმავლობაში, როგორც ზაფხულის თვეებში .აი სწორედ ამიტომ შეარჩიეს ეს დრო. ხაბაროვსკში „საბჭოთა ქვეყანა“ ჰიდროაეროპლანად აქციეს და ნიკოლაევსკში გაემართენ, იქიდან კი პეტროპავლოვსკში. ამრიგად გაიარეს 1800 კილომეტრი გამძვინვარებული ოხოტის ზღვის თავზე, როდესაც ძირს ზღვა ქუხდა და სჭექდა გააფთრებული, ზევით კი ქარი წიოდა და თავგამეტებით ებრძოდა გამბედავ მოგზაურებს, რომლების აეროპლანის ზუზუნი ინთქმებოდა ქარის ღრიალში.

20 სექტემბერს პეტროპავლოვსკიდან გაფრინდენ კამჩატკაზე და 7 საათის შემდეგ მივიდენ ალეუტის კუნძულებზე — გაიარეს 1100 კმ. (საათში 190 კმ.). წყნარ ოკეანეზე საშინელი ქარიშხალი იყო, რაც მეტად ართულებდა საქმეს, მაგრამ აეროპლანმა მაინც გაიმარჯვა. მოსკოვ-ნიუიორკის გზის პირველი ნახევარი ამრიგად გავლილი იყო.

21 სექტემბერს „საბჭოთა ქვეყანა“ კუნძულ უნალაშკაზე გადაფრინდა. ამრიგად მშვიდობიანად დასრულდა წყნარ ოკეანეზე გადაფრენა. ავიაციის ისტორიაში ეს პირველი მაგალითია. პეტროპავლოვსკსა და კ. უნალაშკას შორის, წყნარ ოკეანეზე, მანძილი 2500 კმ. უდრის (მოსკოვიდან კი 11500 კმ.). უნალაშკაში მიფრენის დროს ზღვა გაგიჟებული იყო, აეროპლანი აზვირთებულ ტალღებზე დაეშვა და კინაღამ მიემსხვრა კლდოვან ნაპირს. მათ საშველად გამოვიდა ამერიკელების მოდარაჯე გემი, რომელმაც ორი საათის წვალების შემდეგ რის ვაი-ვაგლახით შესძლო ბუქსირით აეროპლანის აყვანა.

რადგან საშინელი ქარი იყო, ისინი რამდენიმე დღეს უნალაშკაზე შეჩერდენ. მხოლოდ 27 სექტემბერს დილით შესძლეს ალიასკაზე მდებარე სტუარდში ჩაფრენა (გაიარეს 1300 კმ., საათში 162 კმ.). შემდეგ, 30 სექტემბერს, მივიდენ სიტკში, იქიდან კი 3 ოქტომბერს წავიდენ სიეტლში (ვაშინგტონის შტატი). მათ შორის 1368 კილომეტრია. გზაზე მოტორმა ცუდად დაიწყო მუშაობა და შუაგზაზე იძულებული იყვნენ დაშვებულიყვნენ ზღვაზე გრეგთან. მათ გამოითხოვეს ახალი მოტორი, მიიღეს კიდეც და გაემართენ სიტლისკენ, თანაც 1200 კილომეტრი გაიარეს ქელ ნისლში გახვეულებმა, თან ქარიშხალიც მძვინვარებდა.

მიფრინდენ სიტლში... ამით ფაქტიურად დასრულდა გრძელი გზა — მათ დედამიწის ნახევარს შემოუფრინეს.

სიტლსა და ნიუ-იორკს შორის მშვენიერი საჰაერო ხაზია, იქ ღამითაც კი შეიძლება ფრენა. ამ გზის სიგრძე 4000 კილომეტრს უდრის. „საბჭოთა ქვეყანა“ ბევრ ადგილას ჩაფრინდება. გაზეთები გვაწვდის ცნობას, რა დიდი ინტერესით ხვდებიან ჩვენს აეროპლანს ამერიკელები, რომელთაც აინტერესებთ საბჭოთა კავშირში გაკეთებული აეროპლანის გამძლეობა.

რა მნიშვნელობა აქვს ამ გადაფრენას? აი რა: „საბჭოთა ქვეყანამ“ ყველას დაუმტკიცა, რომ მას შეუძლია ხანგრძლივი ფრენა. მან უძნელესი გზა გაიარა — გადაუფრინა ციმბირს და წყნარი ოკეანეს ჩრდილო ნაწილს; ეს გზა ჯერ არცერთ აეროპლანს არ გადაულახავს. მან გაიარა 14500 კილომეტრი — მანძილი მოსკოვსა და სიტლს შორის. ამ გზას 50 დღე დასჭირდა, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამინდი მეტად ცუდი იყო, რაც ხელს უშლიდა ფრენას. ამჟამად „საბჭოთა ქვეყანა“ განაგრძობს ამერიკის მიწაწყალზე ფრენას და ნათლად უმტკიცებს ამერიკის ბურჟუაზიას, თუ რამდენად წინ მიდის საბჭოთა კავშირი მუშათა კლასის მეთაურობით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღვზარდოთ ლენინელთა მილიონები.

ცხოვრებასთან ერთად.

ბევრმა რაზმმა და რგოლმა იცის ალბათ კრუპსკაიას წერილი, რომელშიაც ის ბრალსა სდებდა პიონერებს, რომ ისინი შორდებიან საზოგადოებრივ ცხოვრებას, რომ პიონერორგანიზაცია ზედმეტად კარჩაკეტილია. ეს კარგად უნდა დაიხსომოს ყოველმა ნორჩმა პიონერმა.

„შუშაობის გარეშე, ბრძოლის გარეშე კომუნიზმის წიგნური ცოდნა კომუნისტური ბროშურებიდან და ნაწარმოებებიდან სრულიად არაფერი ღირს“.

ლენინი

და კითხვაზე, როგორ ვისწავლოთ, **ლენინი** იძლევა პასუხს:

„ყოველი ნაბიჯი სკოლაში საქმიანობისა, აღზრდის ყოველი ნაბიჯი უნდა დაუკავშირო ყველა მშრომელის ბრძოლას ექსპლოატატორების წინააღმდეგ“.

სხვა გზა არ არსებობს, რომ ჩვენგან მომავალი კომუნისტები გამოვიდენ.

ბრძოლა 5-წლიანი გეგმისათვის და მთელი ჩვენი ყოველდღიური საზოგადოებრივ-პრაქტიკული მუშაობა უნდა დაუკავშირდეს მთავარ ამოცანას—აღზრდა პიონერებში ახალი ადამიანის თვისებებისა. ჩვენ უნდა გამოვჭედოთ რაზმებიდან და რგოლებიდან ახალი ადამიანები, უფრო უკეთესები, ვიდრე ჩვენი მამები და ძმები არიან.

როგორი უნდა იყოს პიონერი?

ყოველმა პიონერმა უნდა აღზარდოს თავისი თავი კოლექტივისტად, თვითმოქმედად, შემოქმედ ადამიანად, რომელსაც შეეძლება კრიტიკულად მიუდგეს თავის და სხვის მუშაობას, რომელსაც შეეძლება მუშაობა და კულტურული ადამიანის გამოცდილებათა შეძენა.

ყველა ეს თვისება შეიძლება მიიღო უპირველეს ყოვლისა კოლექტიურ მუშაობაში. უნდა შეეჩვიო და შეაჩვიო სხვაც კოლექტიურ მუშაობას, კოლექტივისათვის ფიქრობდე, არასოდეს დაშორდე მას, რითაც **მთლიანად** მოვსპობთ ჩვენში ინდივიდუალიზმის გრძნობას, თავისმოყვარეობას და კარიერიზმს. მეორე: ჩვენ უნდა განვავითაროთ ყველა პიონერის თვითმოქმედება და შემოქმედება, მივაღწიოთ იმ მდგომარეობას, როცა ყველა ბავში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს რაზმის ყოველდღიურ მუშაობაში, მესამე: კრიტიკულად უნდა უყურებდე შენსა და სხვის მუშაობას, შეგეძლოს სწორედ შეაფასო მუშაობა, შეგეძლოს გააკრიტიკო სუსტი და აღნიშნო დადებითი მხარეები რაზმების და მთელი ორგანიზაციის მუშაობაში, მოიშორო მლიქვნელობა და უფროსების ფეხ-ქვეშ ჩავარდნა. მეოთხე: ჩვენ უნდა აღვზარდოთ მცოდნე, კულტურული ადამიანი, მოვიპოვოთ ისეთი მდგომარეობა, რომ თვითეული პიონერი მიილტვოდეს ცოდნისაკენ, შეეძლოს პოლიტიკურ ამბებში გარკვევა. პოლიტიკურად უვიც ადამიანს არ შეუძლია სოციალისტური საზოგადოების აშენება. პიონერმა უნდა მიიღოს შრომითი გამოცდილება, შეიყვაროს შრომა, შეეძლოს მუშაობა საერთო საქმისათვის. პიონერი უნდა იყოს გამბედავი, დაჟინებული და ფიზიკურად ამტანი მებრძოლი.

გავა ხუთი წელი...

უფროსი პიონერები გახდებიან ოც-ოცი წლის... **პიონერორგანიზაციის რიგებიდან წავა მილიონ-ნახევარი ბავში. სად წავლენ ისინი? რას გააკეთებენ?** გაიზრდებიან მათგან სოციალიზმის აქტიური მშენებელნი თუ ჩვეულებრივი მეშჩანები, ამ მშენებლობის გარეთ მდგარნი.

გვყავს ჩვენ სხვადასხვა ბავშები. ერთმა ისწავლა პიონერ-რაზმში ყოფნის დროს თავისი საკუთარი მტრის სიძულვილი, დაიწყო კომკავშირში მუშაობა და მუშაობს წარმოებაში. მეორე ამხანაგი გადავიდა კომკავშირში, ლაპარაკი კარგად იცის, ისვრის ლამაზ ფრაზებს და ლოზუნგებს, მაგრამ მას აკლია მტრის სიძულვილი, აკლია მუშაობის უნარი და კოლექტივიზმის გრძნობა. ყოველი ფაბრიკა და ქარხანა უთვალყურებს იმას, თუ როგორია მათი პროდუქცია და ყოველ წარმოებაშია დადებითი და უარყოფითი მხარეები; ხოლო პიონერორგანიზაცია დღემდე არ უგდებდა ყურს, რას იღებს პიონერი, რომელიც სტოვებს რაზმს, როგორი ნაკლი აქვს მას, ამის ცოდნა კი ძალზე საჭიროა.

საბჭოთა კავშირს ახალი მუშები სჭირდება.

წაკითხვას „რა მინდა ვიყო“ ბევრი ბავში გამოეხმაურა და ბევრ მათგანს უნდა იყოს მსახიობი, კანტორის მოხელე, მწერალი, გამომკვლევი. ჩვენ გვესაჭიროება, რასაკვირველია, სხვადასხვა პროფესიის ხალხი, მაგრამ **საბჭოთა მხარეს ყველაზე უფრო დასჭირდება ინჟენრები, ტექნიკოსები, კვალიფიციური მუშები.** საჭირო იქნებიან ზრდაში მყოფი მრეწველობის მეთაურები. ხუთ წელში უნდა მომზადდეს 61000 ინჟენერი, 116000 ტექნიკოსი, 200000 მასწავლებელი. პიონერორგანიზაციამ უნდა მოამზადოს ის ხალხი, რომელიც შემდეგ ინჟენერები, აგრონომები და მასწავლებლები გახდება. **ესენი უნდა იყვნენ ახალი მუშები,** ესენი უნდა შეიქნენ შემქმნელნი მაღალი ხარისხის, ხოლო ფასით დაბალი პროდუქციის. ესენი უნდა იყვნენ რაციონალიზაციისათვის, შრომის უკეთესი ორგანიზაციისათვის მებრძოლნი.

შრომის და ბრძოლის პოემა.

ჩვენი პარტიის უდიდესი ტრადიციები, წარსული რევოლუციონური ბრძოლის მებრძოლი გამოცდილება უნდა გახდეს გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი მსოფლიო რევოლუციისათვის ბრძოლაში.

ძველ ბოლშევიკთა საზოგადოება თავის მიმართვაში პიონერების შეკრებისადმი სწერს:

„ჩვენ უნდა ვისწავლოთ და ვიმუშაოთ, ვიმუშაოთ და ვისწავლოთ ისეთი თავდავიწყებით, რასაც გვასწავლიდა დიდი ლენინი თავისი ცხოვრებით, თავისი მაგალითით. ჩვენ უნდა დავრაზმოთ მილიონები დაუთვალავ სიძნელეთა დასაძლევად, რომელნიც დგანან სოციალიზმის მშენებლობის გზაზე ჩვენში, და ძალა-უფლების დასაპყრობად მთელ ქვეყანაზე. ასე შევასრულებთ ლენინის ანდერძს.

აქეთკენ მოგიწოდებთ შენ, ლენინის პიონერო. შეისწავლე ლენინიზმი, ე. ი. ისწავლე ცხოვრება და ბრძოლა,

სიძულვილი და სიყვარული, გამარჯვება და დამარცხების ჭრილობების მორჩენა ლენინის უდიდეს მაგალითზე. გიყვარდეს და შეისწავლე ლენინი და მისი მთლიანი პარტია.

იყავი დისციპლინიანი ბრძოლის საკითხებში ისევე, როგორც ლენინი, რომელმაც ბრწყინვალედ იცოდა აცდენა მენშევიკების და ტროცკისტების მიერ გამოსროლილი ისრების და „ხან მემარჯვენე, ხან მემარცხენე“ კომუნისტების დამაძინებელი სიმღერების. იარე წინ ლენინის გზით.

შეტევაზე გადადი სიზანტის, კერძო საკუთრებისადმი მიდრეკილების, შეეჭვების წინააღმდეგ, ბატონობის და მონობის ნაშთების წინააღმდეგ; მოგვეცი ყველაფერი, რაც შენში საუკეთესოა და წმინდა. გახსოვდეს, რომ გოგონა-პიონერს ჯერ კიდევ დიდი ბრძოლა უხდება ქალის დამონების წინააღმდეგ. დაიცავით თანასწორუფლებიანობა და ამხანაგური ურთიერთობა ბიჭებსა და გოგონებს შორის.

გახსოვდეს ქვეყნის ხუთი მეექვსედი, სადაც მებრძოლი მილიონები დილეგებში და ციხეებში ელიან შენს დახმარებას.

ზედმეტი კაპეიკი გადაგზავნე **რემედასში**. შეისწავლე უცხო ენები.

შენი დახმარება საჭირო იქნება გადამწყვეტ მომენტში, როდესაც იმპერიალიზის ვეშაპები შეეტაკებიან მსოფლიო რევოლუციის ძალებს.

იყავ მზად.

ძველ ბოლშევიკია საზოგადოება“.

ლენინის საქმისათვის

საკავშირო შეკრებამ პატარა როლი არ ითამაშა პიონერების მომზადების საქმეში, იმ დიდი ამოცანების შესასრულებლად, რომელიც მათ წინაშე დააყენა პარტიამ, ძველმა ბოლშევიკებმა.

ათასჯერ მართალია ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია, როცა წერდა:

შეკრებაზე ჩამოსული პიონერები გაიგებენ, შეიგრძნობენ ორგანიზაციის მთელ სიძლიერეს. მუშებისა, მუშა ქალებისაგან, პარტიულებისაგან გაიმსჭვალებიან ისინი მტკიცე ნებისყოფით ბრძოლაში, **ყოველი მათგანი წარმოიდგენს თავის თავს უდიდესი არიიის ნაწილად, რომელიც იბრძვის ლენინის საქმისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის.**

არა, პიონერთა შეკრება გართობა არაა, არც თამაში. ძველი კვდება, ახალი მოდის.

ახლისათვის, მუშათა საქმისათვის ბრძოლისთვის იყავით მზად!

ევროპელი პროლეტარული მწერლები ტფილისში

ამ დღეებში ტფილისს ესტუმრენ ევროპის რევოლუციონერი მწერლები, პროლეტარული ლიტერატურის საერთაშორისო ბიუროს დელეგაცია. დელეგაციაში შედიოდენ დასავლეთში საკმაოდ ცნობილი რევოლუციონერი მწერლები: 1. გერმანელი **იოჰანეს ბეჰერი**, რომელიც ამ ცოტა ხნის წინად ციხეში იჯდა იმისათვის, რომ მან დასწერა მომავალი ქიმიური ომის საშინელებაზე ანტიიმპერიალისტური წიგნი; 2. პოლონელი **ბრუნო იასენსკი**, რომელმაც დასწერა წიგნი სათაურით „მე ვწვავ პარიზს.“ ეს წიგნი დაწერილია ერთი ბურჟუაზიული მწერლის წიგნის

ამხ. **მატე ზალკა** „პიონერის“ რედაქციაში. სხედან მარჯვნიდან მარცხნივ: ამხ. ამხ. **ელ. პოლუმორდვინოვი, ვალ. ლუარსამიძე, მატე ზალკა, ა. მაშაშვილი.** დგანან ამხ. ამხ. **სიმონ წვერავა** და **ალ. სულავა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამო, რომელსაც მან სათაურად დაარქვა „მე ვწვავ მოსკოვს“ ბ. იასენსკის წიგნი, როგორც სათაურიდან ჩანს, ანტიბურჟუაზიული წიგნია; 3. **ბელა ილეში**, ცნობილი ვენგრიელი მწერალი, ავტორი წიგნისა „ტისა იწვის“. ამ წიგნში აღწერილია უნგრეთის მუშათა კლასის რევოლუციონური ბრძოლა; 4. **ლუდვიგ რენი** — გერმანელი პროლეტარული მწერალი, ავტორი წიგნისა „ომი“, სადაც იმპერიალისტური ომის საშინელებებია გადმოშლილი; 5. **გაინც კაგანი**— გერმანელი პროლეტარული მწერალი, პროფესიონალური რევოლუციონერი და 6. უნგრელი მწერალი **მატე ზალკა**. მაგრამ მატე ზალკა ჩვენთვის საინტერესოა განსაკუთრებით, როგორც აგრეთვე საბავშო მწერალი, რომლის მოთხრობებს ჩვენი პიონერები უკვე იცნობენ.

უახლოეს ნომრებში დაიბეჭდება მისი ახალი მოთხრობები; რაც შეეხება მოთხრობა „**ჟუჟას**“ და „**განსის თავგადასავალს**“, ეს უკვე ჩვენთვის ნაცნობი მოთხრობებია, დაბეჭდილია ჟურნ. „პიონერში“.

მატე ზალკა უნგრელი კომუნისტია; წინათ ის ოფიცერი იყო; ომში ის სკოლის სკამიდანვე მოხვდა. ომის დროს მან დასწერა ერთი მოთხრობა, რისთვისაც პასუხისგებაში იყო მიცემული; ომის წლებში ტყვედ ჩავარდა რუსეთში 1916 წელს; ამ დროს მიემხრო რევოლუციონურ მოძრაობას.

1917 წელს იღებდა მონაწილეობას ოქტომბრის რევოლუციაში, ინტერნაციონალური რაზმის ხელმძღვანელი იყო.

მხურვალე მონაწილეობას იღებდა სამოქალაქო ომებში, იყო ტყვედ კოლჩაკის ხელში 6 თვის განმავლობაში; გადაწყვეტილი ჰქონდა დახვრეტა, რასაც თავი დააღწია. სამოქალაქო ომებში მთელი რიგი გმირობისათვის ამხ. ზალკა დაჯილდოვებულია წითელი დროშის ორდენით.

რუსეთში მატე ზალკა ცხოვრობს 1916 წლიდან.

ლიტერატურაში მუშაობს 1913 წლიდან. სწერს ბავშებისათვისაც. ის ავტორია მთელი რიგი რევოლუციონური შინაარსის მოთხრობებისა: „ჟუჟა,“ „განსის თავგადასავალი“ „ხოდია“, „მისტერ კერკლინის საქმე“ და სხვა.

Gruzin pro netok!

A fiatal grusin elbtársnak keresnek kell lennie a legkiméletlenebb harcra
a feodalizmus maradványaivel
a nacionalizmussal
a rendszerkedvével
a diszciplinálatlansággal szemben, a szocialis pártért.
Légy kész pionír a harcra

Zalkamáté

საქართველოს პიონერებს!

საქართველოს პიონერი მზად უნდა იყოს, რომ ებრძოლოს:
1) მშობლების ფეოდალურ ზნე-ჩვეულებებს,
2) ნაციონალურ შემოფარგლულობას—შოვინიზმს,
3) ლოთობას,
4) უდისციპლინობას
სოციალისტური მომავლისათვის.
ამისათვის იყავ მზად, საქართველოს პიონერო.

მ ა ტ ე ზ ა ლ კ ა.

ის ავტორია მთელი რიგი მოთხრობებისა, სადაც ომის საშინელებაა გადმოშლილი და ანტიიმპერიალისტურ მოთხრობებად ითვლება; ასეთია „პოემა მარადიულ ზავზე“, „პოემა მესამე ინტერნაციონალზე“ და სხვა.

მატე ზალკა სწერს ამჟამად ერთ დიდ საბავშო მოთხრობას.

ალ. ხ — ვა.

რ ო გ ო რ ი უ ნ დ ა ი ყ ო ს მ ე გ ო ბ რ ო ბ ა

თავმჯდომარე: მიტინგს გახსნილად ვაცხადებ. დღეს ილაპარაკებს ორი ორატორი; ისინი ილაპარაკებენ იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს მეგობრობა პიონერთა შორის. პირველი სიტყვა ეძლევა 1 კოლექტივის ხელმძღვანელს.

ხელმძღვანელი: ერთ-ერთი რაიონის ბანაკის პიონერები სისტემატიურად სცემდენ პიონერ მოსიაშვილს. ერთხელ ის და მისი ერთი ამხანაგი სასტიკად გალახეს. აგრეთვე ემუქრებოდენ სხვა პიონერებსაც. ამ გალახვის შიშის ნიადაგზე თხუთმეტამდე პიონერი გაიქცა ხსენებული ბანაკიდან, ბანაკის ადმინისტრაცია კი ყურადღებასაც არ აქცევდა ამ მოვლენას. თუმცა რაზმის ხელმძღვანელმა ამ მხრივ რაღაცა გააკეთა,

პიონერი. ვინ იყო ასეთი?

ხელმძღვანელი: რა საჭიროა გვარების დასახელება? მხოლოდ მე ყველაზე უფრო ის მაშფოთებს, რომ მათში პიონერ-კომკავშირელიც ურევია. ეს კი ძალიან ცუდია. კომკავშირელებმა პიონერებს რჩევა-დარიგება უნდა მისცენ, მათ კი, პირიქით, უწესობა და დაუდევრობა შეაქვთ კოლექტივში.

თავმჯდომარე: ახლა ილაპარაკებს პიონერი მეორე კოლექტივიდან.

მეორე პიონერი: ჩვენს კოლექტივშიაც მეგობრობის საქმე არ არის კარგად მოწესრიგებული. პიონერები კრებაზე თითქოს თავს იკავებენ, მაგრამ როგორც კი გამოვლენ კრებიდან, მაშინვე დაიწყებენ გინებას და

ეროვნული ბიბლიოთეკა

კინკლაობას. ზოგიერთი უფროსი პიონერი თითქმის უკადრისობს უმცროსებთან ყოფნას და გარბის. მაგრამ ის სრულიად არ იშლის პიონერ ქალებთან არშიყობას. (სიცილი)

თავმჯდომარე: სიტყვა ეკუთვნის პიონერ ქალს.

ქალი: მე მგონია, რომ მეგობრობის დამყარება პიონერთა შორის აუცილებელია. მართალია, კოლექტივში შემავალი ბავშვების ყოფაქცევა პირველ ხანებში სხვადასხვანაირია, მაგრამ კოლექტიური ზეგავლენით შეიძლება პიონერთა შორის კარგი მეგობრობის განმტკიცება. ამისათვის საჭიროა ხშირ-ხშირად დასვენების დროს ჯგუფური თამაშობის, საუბრების, საბავშო შემოქმედების საღამოების ჩატარება. ამ კოლექტიურ შრომაში თითოეული ბავშის კერძო ინტერესი თანდათან პასიურდება და იგი საერთო საქმიანობაში ებმება. სწორედ აქედან იწყება კოლექტიური მეგობრობა.

თავმჯდომარე: პიონერებო, გთხოვთ დაიცვათ სიჩუმე. ახლა ილაპარაკებს საკითხის შესახებ კომკავშირელი.

ხმები: გთხოვთ, გთხოვთ!

კომკავშირელი: ამხანაგებო, მე, სამწუხაროდ, წარსულ მიტინგს არ დავსწრებივარ. მხოლოდ გაზეთებიდან ამოვიკითხე ამ კრების შედეგები. მე გამოსვლამდე ბევრი ვიფიქრე, თუ რა ზომებით გამოვსულიყავ, და ეს ყველაფერი ჩავიწერე კიდეც. მე ვფიქრობ, რომ კერძო მეგობრობა ორ ან სამ ამხანაგს შორის არ უნდა იყოს. არ უნდა იყოს აგრეთვე მეგობრობა ქალ-ვაჟს შორის ანდა ორ ქალს შორის.

ხმები. ტყუილია. როგორ არ უნდა იყოს? ეს ჩემბერლენის გამოგზავნილია. ძირს, ძირს!..

თავმჯდომარე. გაჩუმდით. ორატორს მიეცით საშუალება გამოსთქვას თავისი აზრი. ვისაც საწინააღმდეგო აქვს, შემდეგ ილაპარაკოს. ამხანაგო ორატორო, განაგრძეთ.

კომკავშირელი: მე წინდაწინვე ვგრძნობდი, რომ ჩემს სიტყვას უარყოფითად შეხვდებოდენ. მაგრამ დამაცადეთ გამოვთქვა, რატომ მგონია ასე. ხშირად მინახავს, რომ ორი კაცის მეგობრობის გამო ზარალობდა მთელი კოლექტივი. მაგალითად, იყო ასეთი შემთხვევა: ჩვენი რაზმი გაემგზავრა გემით ფოთიდან ბათუმისაკენ. ქალაქში ჩასვლისას ფული გამოგველია და ძალიან მოგვშივდა. ჩვენს ერთ პიონერს ჰქონდა სამი მანეთი. მან ეს თანხა დაუფარა კოლექტივს და თავის ერთ მეგობართან ერთად წავიდა სადღაც სასადილოდ. აქ კარგად ისადილეს და ზედ ნაყინიც დაუმატეს. როგორც ხედავთ, ორმა მეგობარმა კუჭი კარგად გამოიძღო და მათი კოლექტივი კი მშიერი დარჩა. აი, კიდევ ნეორე მაგალითი: ჩვენი სკოლის ნ/პ კოლექტივის ხელმძღვანელი იყო პიონერი ვაჟი, მოადგილე კი ქალი. ისინი ძალიან დამეგობრდენ. ზამთრის არდადეგების დროს ქალი მიემგზავრებოდა სოფელში თავისიანებთან. ამ დროსვე უნდა შემდგარიყო კოლექტივის მორიგი მეცადინეობა — ვარჯიში. ჩვენმა ხელმძღვანელმა არჩია თავის „დანიშნულს“ სადგურამდე გაჰყოლოდა და ამით მთელი კოლექტივის მუშაობა ჩააფლავა. მე მგონია, თუ აქ დამსწრენი კარგად დაუკვირდებიან ამ მოვლენას, ამის მსგავსი მრავალი იქნება სხვა კოლექტივების ცხოვრებაშიაც.

ხმები: მართალია, მართალია. ჩვენშიც მოხდა ასეთი შემთხვევა: შეუყვარდა პიონერს პიონერი ქალი და მათ, საერთო საქმის მაგიერ, სიყვარულის წერილების მიწერ-მოწერა გამართეს.

თავმჯდომარე: მაშ, ამხ. შაგინაძე, თქვენის აზრით, როგორ უნდა შეიქმნეს მეგობრობა ნ/პ კოლექტივებში? ანდა, შეიძლება, სულ არ არის მეგობრობა საჭირო?

კომკავშირელი: მეგობრობა აუცილებელია. როდესაც კოლექტივში მეგობრობა არსებობს, საქმეც კარგად მიდის. ამიტომ მეგობრობა უნდა განმტკიცდეს კოლექტივის ყველა წევრს შორის. ბოლოს და ბოლოს, რატომ ვინმე ვანო განსაკუთრებით უნდა მეგობრობდეს ვინმე შალიკოს! განა ეს ვანო ყველაზე უკეთესია? რატომ ვანოს მაინც და მაინც ცუდი განწყობილება უნდა ექნეს კოლექტივის დანარჩენ წევრებთან? ჩვენ ხომ კოლექტივის საერთო საქმე გვაერთიანებს? და სწორედ ამიტომ არ უნდა იყოს კერძო მეგობრობა ორ პირს შორის.

ხმები: მართალია.

კომკავშირელი: თქვენ დაინახეთ, რომ ზოგი პიონერი მთელი კოლექტივის სიმშილს გაურბის და თვითონ ძღება ტკბილეულობით და ნაყინებით, ანდა შეყვარებული ქალის გამო სტოვებს მთელ კოლექტივს. პიონერებო, მე ვიცი, რომ თქვენ ჩემს სიტყვას პირველი შეხედვითვე უარყოფთ, მაგრამ ღრმად თუ დაუკვირდებით, მე მართალი გამოვდგები თავიდან ბოლომდე.

თავმჯდომარე: ვის სურს ილაპარაკოს? არავის? მაშ, ისმინეთ ყურადღებით. სიტყვა ეძლევა ძველ ბოლშევიკს, ამხ. გრძელიძეს.

ვიყოთ მეგობრები.

მეგობრობამ ყოველთვის უნდა გამოიწვიოს საქციელი და მოქმედება, მიმართული არა მხოლოდ კერძო პიროვნების, არამედ მთელი კოლექტივის წევრთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ეს თუ ასეა, მაშინ ეს გრძნობა სოციალურია, სასარგებლოა და აუცილებელი კომუნისტისთვის.

შეიძლება თა არა მეგობრობა რგოლებს შორის?

ჩვენ ვიცით, რომ ცხოვრებაში ძალიან ხშირად მეგობრობენ ორ-ორად, სამ-სამად ან ჯგუფ-ჯგუფად. რასაკვირველია, ასეთი მეგობრობა კარგია, მაგრამ ძალზე განუვითარებელია. ყველაზე უკეთესია მეგობრობა მთელ რგოლთან. მხოლოდ როგორ უნდა მოხდეს ეს? რგოლში ხომ ყველას არ მოსწონს ერთმანეთი. ცხოვრებაში ძალიან ხშირად ხდება, როცა პირველივე შთაბეჭდილებისაგან სტყუვდებით. მაგრამ, როცა კარგად გაეცნობით და დაუახლოვდებით საგანს, გინდა ადამიანს, მაშინ სულ სხვა შთაბეჭდილებას იღებთ მისგან, რაც პირველად სულ არ შეგიმჩნევიათ.

ვაჟებისა და გოგონების შესახებ

მე, გარდა ამისა, ხშირად შემიმჩნევია ქალ-ვაჟთა შორის კინკლაობა და ლანძღვა. ქალები დასცინიან ვაჟებს, უკანასკნელნი კი ქალებს. ეს მოვლენა შეუწყნარებელია. განა ერთ ოჯახში ძმები და დები ერთმანეთში არ მეგობრობენ? რატომ ჩვენს ოჯახებშიც—კოლექტივებში, კომკავშირში და პარტიაში — არ უნდა იყოს ასეთი და-ძმური მეგობრობა?

ხუცების არაკები.

ყოველი ჯურის ხუცები ერთადერთი და დაუძინებელი მონაწილენი არიან დედაკაცის იმ საშინელი დამცირების და შეურაცხყოფისა, რომელიც იყო და ახლაც არის ნაწილობრივ ჩვენს ცხოვრებაში. ნუთუ ჩვენს სოციალისტურ ქვეყანაში პიონერები გაებმებიან ამ მახეში? არა მე დარწმუნებული ვარ, რომ პიონერები ხუცების ამ ანკესზე არ წამოეგებიან და ბრძოლასაც გამართავენ მის წინააღმდეგ. ისინი ყველგან და ყოველთვის მეგობრულად და პატიოსნად მოეპყრობიან პიონერ-ქალებს, დაიცავენ მათ ყოველგვარი შეურაცხყოფისაგან და დამცირებისაგან, მათთან კარგი, მეგობრული დამოკიდებულება ექნებათ და დაიცავენ მათ უფლებას ყოველდღიურ საქმიანობაში.

ნაციონალიზმი ჩვენი მტერია.

ასეთი მეგობრული დამოკიდებულება უნდა გვექნეს ნაციონალურ უმცირესობასთანაც. ეს საკითხი თითქოს უბრალოა, მაგრამ ძალიან მტკივნეული და სერიოზულია. მართლაც, დააკვირდით ამ საკითხს: იბადებიან ბავშვები და, ყველასათვის გასაგებია, რომ არცერთი ბავში არ არის დამნაშავე იმაში, ქართველმა დაბადა ის, თათარმა, სომეხმა, რუსმა თუ გერმანელმა. ჩვენთვის საინტერესოა არა ის, თუ ვინ ან რომელმა ეროვნებამ შობა ბავში, არამედ — სად და რა პირობებში დაიბადა და იზრდება ის. ყოველი ბავში, რა ეროვნებისაც გინდა იყოს ის, თამაშობს, მხიარულობს, იცინის, იზრდება და ტირის. სანამ ისინი პატარები არიან, მათთვის ყველაფერი ერთიდაიგივეა. აბა, ნახეთ, როგორი სიყვარულით ერთობიან ისინი საბავშო ბაღებსა და სახლებში, ყველაფერს ერთნაირად გრძნობენ. მაგრამ, როგორც კი წამოიზრდებიან და თანდათან დაიწყებენ გარემოს შეგრძნობას, მაშინ ხდება ძირითადი ცვლილება ბავშთა ფსიქოლოგიაში და იცვლება მათი ყოფაქცევაც. და სწორედ უბედურებაც ესაა! საიდან მოდის ეს უბედურება? უფროსებისაგან, ჩამორჩენილი, უკულტურო მშობლებისაგან, რომლებიც ზრდიან და უვლიან ამ ბავშვებს.

უფროსები ხომ გახრწნეს მღვდლებმა, ტერტერებმა, მოლებმა, კაპიტალისტებმა, ვაჭრებმა, კულაკებმა, მეშჩანებმა და სხვებმა, უკეთ რომ ვთქვათ, ყოვლად ჩამორჩენილმა და უკულტურო ხალხმა, რომელმაც ეს გახრწნილება და ძველი ადათი შეინარჩუნა მშრომელთა ხალხის კლასიური მტრებისაგან. ზოგიერთ უკულტურო და გახრწნილ ოჯახში ბავშს ესმის ლანძღვა-გინება ებრაელების, სომხების და იძეორებს მას თავის მეგობარ ბავშებთან ბაღში, საბავშო სახლში, ქუჩაზე, სკოლაში და სხვაგან.

თქვენ იცით სიმართლე?

იციან თუ არა პიონერებმა, რომ სომეხ-თათრების შუღლი, რომელიც მოწყობილი იყო მეფის მთავრობის პროვოკაციით, იმ ზომამდე გამწვავდა, რომ ასეული სომეხი ბავში, ქალი და ახალგაზრდა ამოჟლიტეს! იციან თუ არა ბავშებმა ებრაელთა ოჯახების დარბევა, რომელიც მოწყობილი იყო როგორც მეფის მთავრობის, ისე თეთრგვარდიელთა ბანდების მიერ სამოქალაქო ომის დროს, როდესაც ათასობით იხოცებოდენ ებრაელების ბავშები, ახალგაზრდები და ქალები? ამ საშინელებას სჩადიოდენ რუსეთის თეთრგვარდიელები, მეფის შავრაზმელები და უკრაინელი ოფიცრები, რომლებიც ყოველმხრივ ემსახურებოდენ საერთაშორისო ბურჟუაზიის გამარჯვებას.

იციან თუ არა ბავშებმა და პიონერებმა მეფის მთავრობის მიერ საქართველოს ამბოხებული მშრომელების განადგურება! მეფის ჯალათები არ ინდობდენ ამბოხებულებს, სწვავდენ მათ სახლკარს, შინაურ ცხოველებს და ბინებს.

იციან თუ არა პიონერებმა პოლონეთის მშრომელი ხალხის აჯანყება, რაც სამჯერ სისხლით და ცეცხლით ჩააქრო მეფის მთავრობამ! უკანასკნელი ბანდიტები და ავაზაკები არ მოიქცეოდენ ისე, როგორც მოექცენ მეფის ჯალათები აჯანყებულ პოლონეთის ხალხს.

მივცეთ ხელი ხელს.

ამიტომ ჩვენ მეგობრულად უნდა გავუწოდოთ ხელი სხვა ეროვნების ბავშებს, მაგრამ პიონერებს ისიც უნდა ახსოვდესთ, რომ ისინი ყველანი მუშების და მშრომელების შვილები არიან და ეკუთვნიან იმ საერთაშორისო მშრომელთა კლასს, რომლის დიქტატურისათვის ვიბრძვით მთელ მსოფლიოში.

საჭიროა ყოველი კოლექტივი თუ რგოლი ინტერნაციონალური შემადგენლობის იყოს, რომ მათში შედიოდეს ყოველი ეროვნების ბავში, რომ მეგობრობა ამ სხვადასხვა ეროვნების ბავშებს შორის მტკიცე იყოს, რომელიმე კოლექტივის ანუ რგოლის წევრმა არ იგრძნოს თავი დაჩაგრულად, არამედ მათ შორის იყოს და-ძმური სიყვარული და ისინი წარმოადგენდენ მეგობრულად შეკავშირებულ და-ძმებს საერთო ოჯახში — პიონერთა ორგანიზაციაში.

დამნაშავე არიან ისინი?

მაგრამ ჩვენს წინაშე დგება ერთი საკითხი: როგორ უნდა მოვექცეთ ამ გარდამავალ ხანაში კულაკების, ნეპმანების, ყოფილი მემამულეების, ღვთის მსახურთა და საერთოდ არამშრომელი ელემენტების შვილებს? რასაკვირველია, ბავშებს არ შეეძლოთ თავისი მშობლები თვითვე აერჩიათ. ისინი ხომ დამნაშავენი არ არიან იმაში, თუ როგორ ან სად დაიბადენ? მაგრამ მართალია ისიც, რომ ისინი იზრდებიან ჩვენთვის არა მხოლოდ უცხო, არამედ მტრულად განწყობილ წრეში.

როგორ მოვიქცეთ ამ დროს? ამ დროს ბავშები ვარდებიან საშინელ მძიმე მდგომარეობაში, ისინი თითქოს ორ ცეცხლ შუა არიან. სკოლა, პიონერები და ამხანაგები იზიდავენ მათ თავისკენ, სახლი მშობლები და ნათესავები კი — სულ სხვა მხარისკენ.

უნდა მივეშველოთ.

ასეთ ბავშებს ჩვენ გულგრილად არ უნდა მოვექცეთ, პირიქით, ისინი უნდა ჩამოვაშოროთ ჩვენთვის მავნე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წრეებს და ჩავითრიოთ კოლექტიურ საქმიანობაში. ამით ჩვენ გარდავქმნით მათ კერძო ოჯახურ ფსიქოლოგიას და შევაჩვევთ კოლექტიურ ცხოვრებას. როდესაც ვიცით, რომ ბავში ამ დროს განიცდის დიდ სულიერ დრამას, ჩვენ მას ძალიან ფრთხილად და სერიოზულად უნდა მოვექცეთ, წინდაწინვე უნდა ვგრძნობდეთ, რომ ასეთი ბავში უნდა ჩამოშორდეს თავის მშობლებს და ნებაყოფლობით დაობლდეს, ეს კი ძალიან ძნელია ბავშებისათვის. ჩვენ მეგობრულად უნდა გავუწოდოთ ხელი ასეთ ბავშებს და ამოვიყვანოთ ისინი მეშჩანური და ნეპმანური ჭაობიდან.

როდის არ უნდა დაუმეგობრდე.

მაგრამ, მიუხედავად მრავალი ცდისა და დახმარების, როდესაც ბავში მაინც რჩება ძველი ზნე-ჩვეულების მიმდევარი, ჩვენ მასზე ერთხელ კიდევ უნდა ვცადოთ გავლენის მოხდენა და, თუ უშედეგოდ ჩაგვიარა, მაშინ სამუდამოდ უნდა გავსწყვიტოთ მასთან ყოველგვარი კავშირი, კლასიურ მტრებთან მეგობრობა ჩვენ არ გამოგვადგება. ამიტომ, მე გირჩევთ ასეთი წრეებიდან გამოსულ ბავშებთან კერძოდ ნუ იქონიებთ მეგობრობას, არამედ მთელმა ორგანიზაციამ, ხელმძღვანელობის წესით, უნდა ჩაითრიოს ისინი საერთო საქმიანობაში.

ფ. ნ-ი

სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

ყურძნის მტევნები

შესასვლელ კარებთან მოზღვავებულ ხალხს ყოველ წუთს ემატება ახალი ჯგუფები. მოწაფე ახალგაზრდობა დარაზმული მოდის. კარებში ისმის ჩოჩქოლი; მეკარე ვერ ამაგრებს მოწოლილ ხალხს, და ივსება დარბაზი.

აი ამ კუთხეში, სადაც ფიცრებსა და ხის ტოტების ნამტვრევებზე ჰკიდია ყურძნის მტევნები, გამოფენილია ამხანაგობა „საქართველოს ღვინოს“ სამეურნეო იარაღები და პროდუქტები. ვეებერთელა დიაგრამაზე გამოხატულია ღვინის დამზადების ძველი და ახალი საშუალებანი და სასოფლო-სამეურნეო იარაღები; კარგად იცით, რა ტანჯვით აყენებს ღვინოს ჩვენი ქვეყნის მიყრუებული კუთხის მევენახე გლეხი.



გამოფენის ერთ-ერთი კუთხე

მაგრამ მოდის ახალი ქვეყანა და მოაქვს მანქანების კულტურა. მანქანამ მარნებიდან გაყარა საწნეხელები; დაწყებული ვაზის დამყნიდან, ვიდრე ღვინის შენახვამდე, ათასნაირი მანქანა მუშაობს. მანქანით დამყნილი ვაზი გაცილებით საიმედოა და დღეში 5000 ცალამდე იმყნება. ხელით გლეხი დღეში 800 ცალს ამყნის საშუალოდ). დამყნილი რქა ინახება სათბურებში ზამთრის გასატარებლად (დამყნა შემოდგომაზე ხდება). დასამყენი ძირი ამერიკული ვაზის ჯიშია, რომელიც ადვილად უძლებს ვაზის უდიდეს მტერს—ფილოქსერას. ვაზს თავის დროზე უნდა ეწამლოს და გასცილდეს ზედმეტი ტოტი. წამლობა უმთავრესად შაბიამანითა და გოგირდით ხდება. კარგი ხარისხის შაბიამანი უცხოეთიდან მოდის, თუმცა ამ ბოლო დროს ამზადებენ ჩვენს კავშირშიაც. ჩვენს კავშირშივე აკეთებენ სარწყავ მანქანებს, რომლებიც წინათ უცხოეთიდან შემოდიოდა. ღვინო საქართველოდან მთელს საბჭოთა კავშირში გადის და უცხოეთსაც სწვდება. ღვინის წარმოების გაუმჯობესებამ მოგვცა გაცილებით მეტი გასატანი საქონელი. ასე, მაგალითად, 1927-28 წლებში გატანილ იქნა 5000 ვედრო ღვინო, 29 წელს კი 65000 ვ. ღვინის პროდუქციის დამზადებაც დღითი-დღე იზრდება.

მანქანამ უზრუნველჰყო ღვინის სისუფთავე და გააუმჯობესა ხარისხი. საწნეხლის მაგივრად დგას ვეებერთელა საწურავი მანქანა. იგი სწრაფად მუშაობს და არეულ ღვინოს გადასცემს მანქანა-ფილტრს, რომელსაც „ჰერკულეს-გიგანტი“ ეწოდება. ერთი ფილტრიდან ღვინო მეორე ფილტრს გადაეცემა, სანამ თერმომეტრი და განსაკუთრებული გამადიდებელი მინები არ გვამცნობს ღვინის სიწმინდესა და ხარისხს. ფილტრიდან ღვინო კასრებში გადაქვს მანქანებს, რომლებსაც „გადამსხმელ მანქანებს“ უწოდებენ. გადამსხმელი მანქანები ელექტროს დენით მუშაობს. დარჩენილ ჭაჭას ერთხელ კიდევ დასწურავს „ჭაჭის საქაჩავი“ და გადასცემს ქვაბს არყის გამოსახდელად.

უკვე დამდგარ ღვინოს კასრებიდან „ჩამომსხმელი მანქანები“ გადაიტანენ ბოთლებსა და ღვინის პატარა ჭურჭლებში, რომლებსაც მანქანითვე აკრავენ ეტიკეტებს. აქედან ღვინო ბაზარზე იგზავნება.

აი როგორი რთული შრომა ჭირდება კულტურულად მოვლილ ვაზსა და ღვინოს.

წიწილა მანქანებიდან.

იმ მანქანას, რომელიც წიწილებს ხელოვნურად გამოჩეკავს, ინკუბატორი ეწოდება. გამოჩეკვა ასე ხდება: ახა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, კვერცხები ჩალაგდება ხელმე ინკუბატორის უჯრებში. ინკუბატორში განუწყვეტლივ ტრიალებს 38-40° სითბო (ცელსით). სითბოს რაოდენობას რეგულატორი აწესრიგებს. სამი კვირის შემდეგ უკვე გამოჩეკილ წიწილებს ჩასვამენ ეგრეთწოდებულ „საშუშში", სადაც წიწილები მოღონიერდებიან. ამის შემდეგ ისინი ეგზავნებიან ხელოვნურ დედას, რომელიც აგრეთვე მანქანას წარმოადგენს („ელვეზერი"). ხელოვნურ დედაშიც მოქმედობს სითბო. წიწილებს პირველ დღე-ღამეში არაფერს არ აჭმევენ, შემდეგ ერთი კვირის განმავლობაში ჭკვებავენ კვერცხით. კვირის შემდეგ ნელ-ნელა აჭმევენ ქაშს, მწვანილს, კვერცხის ნაჭუჭს, ნახშირს და სხვ. ორი თვის შემდეგ წიწილები, ხელოვნური დედის მიერ უკვე დაზრდილები, საფრინველოში იგზავნებიან.

ჩირის მანქანა.

— „აი, რაც აქ ვართ, ყველას ბებიებმა რომ შეერთებული ძალით აკეთონ ჩირი, იქნება თუ არა ამ მანქანისგან დამზადებული ჩირის ოდენა"?—იკითხა ერთმა.

— ეს მანქანა იმდენს ორიოდ საათში გააკეთებს, — მანქანა სწრაფად თლის და აჯლის ღენჭოს; მერე დათლილ ვაშლს მეორე მანქანას გადასცემს სწრაფად, სადაც იგი შრება, და ნახევარ საათში ჩირი მზადაა.

ვაშლის კანს გემრიელი ჩაისთვის იყენებენ.

ხილი და ბოსტნეული.

თითქმის მთელი კულტურულად მოვლილი ბოსტანია გამოფენილი. აქ ნახავთ მწვანილს, ხილს, კომბოსტოს, ხახვს, ერთის სიტყვით, ყველაფერს, რის მოყვანაც ჩვენში შესაძლებელია. ქვევით აწყვია განსაცვიფრებელი სიდიდის გოგრები, თითოეული ხუთი ფუთის სიმძიმისა. ხილის ჩალაგება გამოფენაზე ნაჩვენებია ძველის და ახალის წესით. ძველი წესით ხილი გოდრებში მოუვლელად ჰყრია და დალპობა მოელის. ახალი წესით იგი ყუთებშია ჩალაგებული სუფთა და თხელ ქაღალდში შეხვეული.

აქვე მოუტანიათ სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

მატყლი და ბამბა.

მრავალი ცხვრის მატყლია გამოფენილი; მასში პირველხარისხოვნად „მერინოსის" მატყლს ასახელებენ, შემდეგ თუშური ბატკნისას. კარგად მოვლილი ცხვარი უკეთეს მატყლს იძლევა. ცხვარს ამდენ ხანს კრეჭდენ უბრალო მაკრატლით, რომლის დამზადებაც ყველა მჭედელს ადვილად შეეძლო. გამოფენაზე მოტანილია სრულიად ახალი მაკრატელი; იგი მანქანას წარმოადგენს და გაცილებით მეტ მატყლს აცლის. ცხვარი თანაბრად იკრიჭება და ძლიერ სწრაფად.

ყველის დამზადება.

გამოფენიდან ირკვევა, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობა არც მაინც და მაინც ჩამორჩენილია მანქანური წარმოებით. აი თუნდაც აქ მოტანილი ყველის დამზადებას დავაკვირდეთ. მანქანებით მოხდიან რძეს ნაღებს, ნაღებიდან მანქანებითვე ამზადებენ კარაქს, პირმოხდილი რძისაგან ხაჭოსა და ყველს. თექვსმეტი კილო შვეი-

აბრეშუმი

აბრეშუმის განყოფილება ერთ-ერთი ლამაზი კუთხეა გამოფენაზე. პარკის კრამიტით გადაუხურავთ პატარა შენობა; ეს არის პარკის საშრობი ფარდულის მოდელი.

პარკის შრობა ჩვენში რამდენიმე ადგილას ხდება. პარკში ჭუპრს ჰკლავენ ორთქლისა და მაღალი ტემპერატურის საშუალებით. გამოფენაზე მტკიცდება, რომ პარკის ფერი ჭიის ფერზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ პარკის ფერს განსაზღვრავს აბრეშუმის ძაფის გამომყოფი ჯირკვლები. ჯირკვლებში ძაფი სითხის სახით არის მოთავსებული, მხოლოდ პირის გარეთ ტემპერატურის შეცვლის გამო მაგრდება და იქცევა ძაფად. ყვითელი პარკი ამოღების დროს ბოლომდე ირღვევა, მეტ ძაფს გვაძლევს და ამიტომაც მეტად ღირს. თეთრი პარკი ორი წილი ირღვევა, მესამე წილი ხარჯად მიდის და ნაკლებ ძაფს იძლევა, ამიტომ იაფია.

ჩვენში თუთის ხის მოშენებას ახლა უფრო დიდი ყურადღება ექცევა. გლეხის მეურნეობისათვის აბრეშუმი შემოსავლის ძლიერი წყაროა და შრომაც ნაკლებია საჭირო. პარკისათვის მშრალი ჰავა უფრო გამოსადეგია.

ჩვენი აბრეშუმის ქსოვილები ნაკლები ხარისხისაა, ვიდრე უცხოეთისა, რადგან შესაფერი სპეციალისტები ნაკლებად გვყავს. ძაფსაღები ქარხნები მრავალ ადგილას გვაქვს. აბრეშუმის თესლს განსაკუთრებულ პირობებში ამზადებენ, რომ გამოსული აბრეშუმი ჯანსაღი იქნეს.

ჩაის ბუჩქები.

თიხის ჭურჭლებში მოთავსებული ჩაის ბუჩქები მნახველთა ყურადღებას იპყრობს ლამაზი თეთრი ყვავილებით და პატარა ვაშლის მსგავსი ნაყოფით.

ამ ბუჩქების ფოთლებიდან კეთდება სასმელი ჩაი. ჩაისთვის მხოლოდ ნორჩი ფოთოლია გამოსადეგი, მას ახმობენ და განსაკუთრებულ პირობებში ამზადებენ. წინათ წამხდარ ჩაის ფოთლებს და ფოთლების მტვერს, რომელიც დამზადების დროს ცვივოდა, გამოუსადეგარ მასალად სთვლიდენ, ახლა კი მისგანაც აკეთებენ ჩაის, რომელსაც „აგურის ჩაი" ეწოდება. გამოფენაზე ასეთი ჩაიც მოუტანიათ. მას მართლაც აგურის ფორმა აქვს და მაგარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცარიული ყველისათვის საჭიროა 192 კილო რძე, ქართულისათვის—128 კილო, ჰოლანდიური ყველისათვის 160 კილო და სხვა. ყველაზე რთული შრომა შვეიცარიულ ყველს სჭირდება. იგი თუ კარგად მოვლილია, 5 წლამდე ვარგა, ქართული ყველი კი ერთი წლის შემდეგ აღარ იხმარება.

პირუტყვის მოვლა.

ალბათ გინახავთ სოფლის კლუბის კედლებზე აკრული სურათი, სადაც გამოხატულია პირუტყვის მოვლა ძველად და ახლა. გამოფენაზე პირუტყვის მოვლას გვაცნობს „საბეითლო სამმართველოს“ კუთხე. აქ ქილებში მოთავსებულია ავადმყოფი და ჯანსაღი ცხოველის სხეულის ნაწილები. ავადმყოფი პირუტყვი სოფლის მეურნეობისათვის საშიშია. მას ადრევე იცილებენ თავიდან. მოვლის კულტურულმა წესმა სოფლიდან განდევნა ძველი წამლობა და მკითხავები. კულტურულად მოვლილი პირუტყვი გაცილებით სარგებლიანია, ძროხა რძეს გაცილებით მეტს იძლევა და ხბოსაც დიდსა და ჯანსაღს ბადებს. ასევეა სხვა პირუტყვებიც.

სხვადასხვა.

ვინ მოსთვლის, რამდენი რამ იზიდავს მაყურებელს! აი აქ თაფლის მეურნეობა და სამეურნეო იარაღები. ფუტკარს ხელოვნურ პირობებს უქმნიან, რომ ნაკლები შრომა დასჭირდეს და მეტი თაფლი მოგვცეს.

იქ ხე-ტყის ნიმუშებია, კენაფი, სიმინდი, ძვირფასი ჯიშები ჩვენი ტყისა, თამბაქო მრავალნაირი ხარისხისა და კუთხის, მანქანები მათ საწარმოებლად და სხვა მრავალი.

გამოფენაზე გაკრულია დიაგრამები და სქემები ჩვენი ქვეყნის კოლექტიური მეურნეობისა და სხვადასხვა სამეურნეო შეკავშირების.

გამოფენა ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე.

ირაკლი აბაშიძე

ი შ ვ ი ა თ ი გ ა მ ო ფ ე ნ ა.

პარასკევს, 15 ოქტომბერს, ტფილისში, ხელოვანთა სასახლეში საქ. სახელგამის გამგემ ამხ. ბარონ ბიბინეიშვილმა გახსნა იაპონიის საბავშო ლიტერატურის გამოფენა; გამოფენაზე წარმოდგენილი წიგნები მეტად მრავალფეროვანია და გარეგნობით მიმზიდველი.

იაპონიის საბავშო ლიტერატურის გამოფენა.

ცხადია, იდეოლოგიურად ეს წიგნები ჩვენთვის მიუღებელია, მაგრამ გამოცემის მხრივ მაინც ყურადღების ღირსია.

აქ არის შემდეგი განყოფილებები: ზღაპრები, ლეგენდები და მოთხრობები, ბავშთა შემოქმედება (რომელშიაც შედის ბავშების ნახატები და მათ მიერ სკოლებში გამოცემული ჟურნალები), საბავშო ჟურნალები და გაზეთები (ვაჟებისთვის ცალკე და ქალებისთვის ცალკე), წყლის ტრანსპორტი, ავიაცია, იმპერიალისტური წიგნები, იაპონიის სახალხო ზღაპრები, იუმორი, ცხოველები და ბუნება და სხვა.

ჩვენი მკითხველი გაკვირდება იმ ამბით, რომ იაპონიაში ჟურნალები გამოდის ქალებისთვის ცალკე და ვაჟებისთვის ცალკე. ეს ერთგვარი არატოლობის ნიშნის დასმაა ქალ-ვაჟთა შორის. ჟურნალების გამოცემას სქესის მიხედვით არავითარი გასამართლებელი საბუთი არა აქვს.

გამოფენის მნიშვნელოვანი ნაწილი გაჟღენთილია ბურჟუაზიულ-მილიტარისტული სულით. გამოფენაზე პირდაპირ არის მოცემული მილიტარიზმის განყოფილება, სადაც მთელი რიგი წიგნები იაპონური მილიტარიზმის „გმირულ“ ამბებს ეხება. საბავშო ჟურნალების გარეკანზე გამოხატული პატარა ბავშები სამხედრო ტანსაცმელში არიან გამოწყობილი.

აქედან ცხადია, თუ რისთვის ესაჭიროება იმპერიალისტურ იაპონიას ახალგაზრდების ასეთი აღზრდა.

იმ დროს, როდესაც ჩვენი საბავშო წიგნი მიზნად ისახავს უპასუხოს საბჭოთა ცხოვრების ყოველდღიურ კითხვებს, იაპონიის საბავშო ლიტერატურაში ფანტაზია და ზღაპრები ბატონობს.

იდეურად ძალიან წინ ვდგავართ ჩვენ. ჩვენი საბავშო ლიტერატურა აკეთებს აღმომავალი კლასის საქმეს, მათი კი—ისტორიის მიერ განწირული კლასის საქმეს.

საერთოდ გამოფენა კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს თავისი გარეგნობით, წიგნის გამოცემის მაღალი კულტურით. ჩვენ შეგვიძლია გადმოვიღოთ იაპონური საბავშო ლიტერატურიდან ყოველივე ის, რაც საუკეთესოა მასში და ჩვენთვის გამოსადეგი.

კ. მე—ძე.